

კავკასია

(LE CAUCASE)

დამოუკიდებელი ეროვნული აზრის ორგანო

L'adresse de l'administration : 73, rue Froidevaux, Paris (14^e)

№ 5

ოქტომბერი 1937

№ 5

შ ი ნ ა რ ს ი :

- | | |
|---|--|
| 1. ჰაიდარ ბაშმატ — ცოტა სინათლე | 5. სევ. ურუშაძე — ერი |
| 2. აზად - ბეი — რუსითიყაცია ინტერნაციონალიზმის ღროშით | 6. ჭურაბ ავალიშვილი — თეიმურაზ პირველი და მისი პოემა: „წამება ქეთევან დედოფლისა“, (დასასრული). |
| 3. ჰასან - ბეგ ალაუზ — წერილი ენვერ - ფაშას | |
| 4. შალვა ამირეჯიბი — ილიას ერთი პოლე-
მიკა | საქართველოში |

ც ი ტ ა
სინათლე
გასულ აგვისტოს 21-ს ნანკინის მთავრობამ რუსეთს ხელი მოუწერა „თავდაუსხმელობის პაქტზედ“.

ამ ხელშეკრულებას საკმაოდ გრძელი ისტორია აქვს.

გომინდანის ხელმძღვანელი წრეები მარშალ ჩანკაი შეკის მეთაურობით, სულ უკანასკნელ დრომდის, საბჭოთა მთავრობას განზედ უდგნენ. მოსკოვის მრავალნაირ ცდას შეთანხმებისათვის ნახმარს უარით ხედებოდნენ. ამ ცდაში ნანკინი სამართლიანად ხედა-

ვდა ხერხიანად დაფარულ იმპერიალისტურ ზრახვებს და რუსეთის ოსტატურ ნაბიჯს ჩი-

ნეთში კომუნისტური მოძრაობა გაეძლიერებინა.

როგორც ცნობილია, კომუნიზმი ჩინეთში დიდ მომქმედ ძალას წარმოადგენს. კომინტერნის მატერიალური და მორალური დახმარების წყალობით კომუნიზმა შესძლო ჩინეთში კარგად მოწყობილი სამხედრო ძალა შეექმნა, რომელიც ათიათასობით კარგად შეიარაღებულ ჯარის კაცს ითვლის და მრავალ მილიონობით დასახლებულ და კომუნიზმით დაშინებულ რამდენსამე ჩინურ პროვინციას დაპატრონებოდა.

ამ საშინელი ჭირის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელიც უკვე მრავალი წელიწადი გრძელ-

დება, ჩინეთის ცენტრალურ მთავრობას ხშირად აგდებდა განსაკუდელში და დღესაც დამთავრებული არ არის.

ასეთ პარობებში ნანკინის მთავრობის მიერ მოსკოვთან ხელშეკრულობის დადება, იაპონია - ჩინეთის კონფლიქტის ისეთ წუთში, როცა სამხედრო მოქმედება სწარმოებს ჩრდილო და სამხრეთ ჩინეთის მრავალ ადგილებში, ნათელი ხდება, რა ზრახვანი უნდა ასულდგმულებდეს მოხეშეკრულეთ და რა უნდა იყოს. მათი შეთანხმების პრაქტიკული ნაბიჯი.

ჩინური ვერსია, რომელიც ამ შეთანხმებას ისე გვიხატავს, თითქოს მისი მიზანი რუსეთ - ჩინეთის ზავის მოყვარულობის უბრალო დემონსტრაცია უნდა იყოს, თეთრი ძაფებით არის ნაკერი. მტკიცება იმისა, ვითომც ეს შრთანხმება აზრად ისახავდეს, რომ ჩინეთი და რუსეთი თავს არ დაესხან ერთმანეთს, თუ ერთ ამ სახელმწიფოთაგანს ვინმე მესამესთან ომი ეჭნება — მხოლოდ მათ შეუძლიათ, ვისაც შეგნებულად სურთ თავი მოიტყუილონ.

რომელ ჭკუათა მყოფელ კაც შეუძლია, მართლა, იფიქროს, რომ ისეთი განწყობილების დროს, როგორიც დღეს იაპონიასა და რუსეთის შორის არსებობს, საჭიროა კიდევ რაღაცა საგანგებო შეთანხმება, რომელიც მოსკოვს შეაჩერებდეს, რომ ჩინეთის წინააღმდეგ ... იაპონიას არ დაეხმაროს!

ომის ისეთ აფთარ ხასიათთან, რომელიც მან დღეს ჩინეთში მიიღო, არსებული მარაგი ჰაეროპლანებისა, იარაღისა და საზოგადოთ სამხედრო სამზადისისა — მალე უნდა დაშრეს.

საკუთარი სამხედრო მრეწველობა ჩინეთს არა აქვს.

იაპონიის ძლიერი ფლოტის მიერ ჩინეთის სანაპიროების ფაქტიური ბლოკადა მალე წევემნის ისეთ მდგომარეობას, რომ ჩინეთს აღარავითარი იმედი არ უნდა ჰქონდეს, სხვა სახელმწიფოებისაგან სამხედრო იარაღით დამზარება მიიღოს.

ამ დახმარების გაწევა ჩინეთისათვის, კეცენტრულ პირობების გამო, მხოლოდ რუსეთს შეუძლია.

თუ კი 21 აგვისტოს შეთანხმებას რაიმე აზრი აქვს — ჩინელები კი ფრიად გამოცდილი დიპლომატები არიან, რათა უშინაარსო შეთანხმებას ხელი არ აწერონ — ამ შეთანხმების აზრი ის უნდა იღოს, რომ 21 აგვისტოდან რუსეთი შეიქმნა ჩინეთის ფარული მოკავშირე და ერთი მხრით აღუთქვა საჭირო იარაღის მიწოდება, მეორე მხრით, ანტიიაპონური პროპაგანდის მოწყობა მსოფლიო მასშტაბით.

ამ გვარი ანალიზის დამადასტურებელი საბუთები დღითი დღე მატულობს.

„დომენის“ სააგენტო უკვე 4 სექტემბერს იუწყებოდა, რომ ოც და ცხა რუსული ჰაეროპლანი შანხაის ფრონტზედ გამოჩნდაო. იგივე სააგენტო იუწება, რომ მოსკოვმა უკვე გაგზავნა ჩინეთში სამხედრო ამანათის პირველი წყება: 250 ჰაეროპლანი, 100 საველეზარბაზანი და 150 საზენიტო მსროლელი. . .

მეორე მხრით, შანხაის რაიონში იაპონიის წინააღმდეგ უკვე „საერთაშორისო რაზმებს“ აღგენენ და მთელმა კომუნისტურმა, მოკომუნისტე, სოციალისტურმა და ლიბერალურმა პრესამ, ვიღაცის თითის ქნევით, უკვე ასტეხა განგაში იაპონიის წინააღმდეგ.

მეორდება, საზოგადოთ, ის ამბავი, რომლის მოწამენი ჩვენა ვართ წელიწადზე მეტია — ისპანიაში.

საერთაშორისო კომუნიზმისა და სოციალიზმის ძალები, ყველა მათი მოკავშირენი ლიბერალ და რადიკალ ბურჟუაზიის ბანაკიდან, ყველა თავის ოკულტი ძალებით დღეს იაპონიის წინააღმდეგ აღდგნენ და ბრძოლა ისპანიაში წაგებული, ჩვენ თვალ წინ, დღეს ჩინეთში გადააჭვთ.

იქაც, როგორც ისპანიაში, იგივე ძალები იბრძეიან, რომლებიც ანგრევენ დღევანდელ კაცობრიობას: ერთ მხარეზედ არის იაპონია, ერთად ერთი რეალური ძალა, რომელსაც შე-

უძლია უზარმაზარ აზიის მატერიკის გადარჩენა კომუნისტური ანარქიისაგან, მეორეზედ — სუსტი და დღითი დღე ყოველივე ნიადაგის მკარგავ ნანკინის მთავრობის ზურგს უკან ჩასაფრებული სისხლიანი მოსკოვი, ყველა თავის მოკავშირე დამანგრეველ და გამხრწნელ მსოფლიო ძალებით.

ამ ბრძოლის დასასრულზედ და უფრო მეტად ამ ბრძოლის დასასრულზედ, ვიდრე სამოქალაქო ომზედ, არის დამოკიდებული საკითხი, წალეკავს თუ არა მოსკოვისაგან გადმოსროლილი სისხლის ტალღა მსოფლიოს, თუ გატანჯული კაცობრიობა შესძლებს თავისი სულიერი სალოცავი კვლავ აღადგინოს და შექმნას ახალი საზოგადოებრივი წესრიგი, რომელიც ქვეყანას მშეიძლობიან შრომას და ძმურ თანამშრომლობას მიანიჭებს.

X

დიდი ხანი არ არის, რაც „კავკაზ“-ში მოუვანილი გვყავდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენელის წერილი მეორე ინტერნაციონალში, პარტიის ოფიციალურ ორგანო „ბრძოლისხმა“-ში დაბეჭდილი და ისპანიის სამოქალაქო ომისადმი მიძღვნილი. ამ წერილში ავტორი ისპანიის „კანონიერ“ მთავრობას დიფირამბებს უგალობდა და მეხსა და სეტყვას აყრიდა „აჯანყებულ“ გენერალს. ეგრეთ წოდებულ ქართულ „ეროვნულ ცენტრის“ თავმჯდომარის უახლოესი თანამშრომელი, ისპანელ ნაციონალისტების გამარჯვებაში მსოფლიო ფაშიზმის დღესასწაულს ხედავდა, რის წინააღმდეგ ბრძოლაც, ეტყობა, ყველა ქართველი პატიოტის მოვალეობა უნდა იყოს... ბ. უორდანიას მთავარი ლეიტენანტის საქციელი დავგმეთ არა მარტო ჩვენ, არამედ სხვა ბევრმა

ქართულმა გაზეთმაც, რომლებიც ყოველთვის ჩვენთან ერთად არა ფიქრობენ.

ეხლა მეორე მისმა თანამოსაგრემ ისახელა თავი — ბ. „საქართველოს“ წარმომადგენელმა „ერთა ლიგის დამცველ საზოგადოებათა საერთაშორისო კავშირ“-ში. როგორც მკითხველს მოეხსენება, ასეთი საზოგადოება ყველგან არსებობს. მათი ყრილობანი ხდებიან ლიგის ყოველი სესსის წინ და ვითომდა „ტბა ერისა“, სხვა და სხვა საკითხების გამო, ლიგას თავის „დაბარებას“ აძლევენ.

უკანასკნელ ექსტრა - ორდინარულ კრებაზედ, რომელსაც უენევაში 12 სექტემბერს ჰქონდა ადგილი, ამ „კავშირის“ საბჭომ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს ერთა ლიგას, რათა მან ჩინეთს დახმარება აღმოუჩინოს და იაპონიის წინააღმდეგ შესაფერი სანქციები მიიღოს.

ერთხმად მიღუბულ რეზოლუციაში, რომელიც ლიგას იაპონიის წინააღმდეგ მოუწოდებს, იმ დროს, როცა ეს უკანასკნელი მსოფლიო კომუნიზმს ებრძვის და ამით რაოდენადმე რუსულ კომუნიზმის მიერ დამონებულ კავკასიის და ქართველების საქმესაც აკეთებს, ქართველი დელეგატის და მის გამგზავნელ ქართულ „ეროვნულ ცენტრის“ თითიც ურევია.

ჩვენ კუთვნილებისამებრ უკან უბრუნებთ „ბრძოლის ხმას“ ოდესლაც ჩვენდამი დასმულ საკითხს და ვეკითხებით ამ პატიოსან გაზეთს და მის ხელმძღვანელ ბ. უორდანიას, რომელიც აგრეთვე „პრომეთეს ფრონტის“ მეთაურიც არის — ვის სასარგებლოდ იღწვიან მისი წარმომადგენლები ისპანიაში, სადაც იცავენ ვალანსიელ მედინამიტებს და ბარსელონელ ანარქისტებს, ხოლო ჩინეთში იაპონიის წინააღმდეგ გამოდიან?

ჰაიდარ ბაშატი.

რუსიული ინტერაციონალური ღრმული

შეუძლებელია, ვინც გულდადებით ადევნებს თვალყურს მოსკოვის „ინტერნაციონალისტების“ შინაურ პოლიტიკას, არ გაოცდეს იმ ევოლუციის გამო, რომელიც განიცადა მათმა პოლიტიკამ უკანასკნელ წლებში, უმთავრესად, ეროვნულ საკითხში. ოფიციალურად ინტერნაციონალიზმის დროშით, დემაგოგურის წამოძახილებით და პირმოთნე ლაპარაკით „ცარიზმის“ მიერ დაჩაგრულ ერგბზედ, დაუსრულებელი ტრაბახით ყბადალებულ „ლენინის ეროვნულ პოლიტიკაზედ“ და „სტალინის კონსტიტუციის“ შემპარავი ჰანგებით, რუსის ბოლშევიკებმა, იოსებ სტალინის სრულ უყუათობის წინაშე, რომელიც მხოლოდ პირადი თავდაცვის საკითხით არის გართული, განიზრახს დასრულონ ის, რაც ვერ შესძლო ცარიზმა ასი წლის განმავლობაში: დაპყრობილ არა - რუს ერების სრული რუსიფიკაცია.

„აღმოსავლეთის ერთა ყრილობებმა“, პროისლამურმა პოლიტიკამ, რომელიც იმპერიალისტურ სახელმწიფოებს წინ უნდა აღდგომოდა, ტურქოლოგების კონგრესებმა, ან დაპყრობილ ქვეყნებში რუს - იმპერიალისტურ ძეგლების ძირ - ფესვიანად ამოგდების ეპოგამ — თქვენი ჭირი წაილო.

ამაებზედ აღარაფერი ისმის. დადგა „საბჭოთა“ პატრიოტიზმის ხანა, რომელიც, არსებითად, შესაძლებელია, რომ მხოლოდ ველიკოროსული იყოს, რუს - კლასიკებით, რომლებსაც ყველას ხელში აჩრიან და რომლებიც რუსული იმპერიალიზმის ეტიკები არიან, რუს - „პოლკოვოდცების“ კანონიზაციით, რომლებიც ჩვენ ქვეყნებს იპყრობდნენ, რუსული ბილინების გაცოცხლებით, ძალით რუსული ენის შეტანით არა - რუსულ სკოლაში და ამავე დროს ლიტერატურული ენის დევნით არა - რუს ერებში.

დღეს ჩვენ ამ უკანასკნელ გარემოებაზედ უნდა შევჩერდეთ, რადგან დაპყრობილ ერებს სწორედ აქედგან მოელის სრული დენაციონალიზაციის სასიკვდილო ლახვარი.

როგორც ცნობილია, დასაწყისში ბოლშევიკებმა ერებს თავი ისე მოაჩვენეს, თითქოს ისინი ყველა ერის ენის განვითარების მომხრენი იყვნენ. ლათინური ანბანი, რომელიც ამ ერების ენებს სარჩულად დაედო, პირველში მაინც ფორმალურად ისახავდა ორ კეთილ მიზანს: დამწერლობის შესწავლის გაადვილებას იმ ერებისათვის, რომლებსაც ძველად ჩნელად შესასწავლი ანბანი ჰქონდათ და შესაძლებლობას მეორეებისათვის, რომ თავისი ენა შეესწავლათ (მაგალითად: განაპირა ჩრდილოეთის ტომებისათვის). გაიარა რაოდენიმე წელმა და მართლაც საბჭოთა კავშირის არა - რუს ერებმა, სამშობლო ენის და მწერლობის შესწავლაში ცოტაოდენი აქტივობა გამოიჩინეს. ამ ერების მეცნიერებმა და ლინგვისტებმა დედა - ენები გაამდიდრეს, ენის შესწავლას სისტემა მისცეს, შეაღვინეს გრამატიკის სტაბილური სახელმძღვანელოები, შეჰქმნეს სტილი და სხვა. კაცი იფიქრებდა, რომ მიზანი, რომელსა რუსი კეთილის მყოფლები ისახავდენ — ხორციელდებოდა. მაგრამ საქმე უცბად შეტრიალდა. მოსკოვმა შენიშნა, რომ დედა - ენის გასამდიდრებლად და განსავითარებლად, ყოველი ერი, ძალაუნებურად და სრულიად სამართლიანადაც, მიიწევდა იმ სათავისაკენ, რომლისაგანაც ესა თუ ის ენა, ან ლაპარაკი წარმოიშვა. ასე მაგალითად, საბჭოთა კავშირის დასავლეთ მხარის ერებმა, როგორც უკრაინელები და ბელორუსები არიან, გაიწიეს თავისი ენების იმ ეტნიურ და ისტორიულ სათავეებისაკენ — იმ ერებისაკენ, რომლებიც რუსეთის საზღვრების გადაღმა სცხოვრობენ და ვინაიდგან რუსული ენის გა-

ვლენის გარეშე იყვნენ, თავისი ენა რუსული ტერმინებით არ აუჭრელებიათ. ამითი აიხსნება, რომ დღეს მოსკოვი უკრაინელებს და პელორუსებს მოსკოვური გავლენისაგან გაქცევას უსაყველურებს და „გალიჩიანობას“ და „ზაპარნიჩესტვობას“ აბრალებს. ამას რეპრესიები მოჰყვა და დღეს მოსკოვი უკრაინელებს და სხვა „სამოსტიინიკებს“ ბრალსა სდებს, რომ ისინი არა მარტო ანვითარებენ თავის დედა - ენას და თავის ლიტერატურას, არამედ რუს ისტორიკოსების და ლინგვისტების ტენდენციურ თხზულებებში შესწორებანიც შეაქვთო. ეს იყო მიზეზი, რომ გრუშევსკი გადაასახლეს, სკრიპნიკებმა თავი „მოიკლეს“, უკრაინის აკადემია გაანადგურეს, განათლების კომისარიატი დაარბიეს, მრავალი უკრაინული სკოლა გააუქმეს და მასწავლებლები გარეკეს.


პოსტიშევის მიერ დათესილმა ტერორმა უკრაინაში მოსკოვის „ინტერნაციონალისტების“ ნამდვილ სახეს ნიღაბი ახადა. დედა - ენის განვითარება, რა თქმა უნდა, — დიახ, მაგრამ ერთის პირობით, თუ თქვენს ორიენტაციას მოსკოვისაკენ გადმოზნიქავთ, თუ დაუახლოვდებით „ოქტომბრის“ რევოლუციას ენას, ლენინის ენას, რომელმაც კავშირი შექმნაო; მოსკოვი მხოლოდ ამ პირობით სცნობს დაპყრობილ ერებისათვის ამ უფლებას. სხვანაირად, ენისა და მწერლობის ყოველივე განვითარება „კონტრ - რევოლუცია“ არის, მტრული ანტი - საბჭოური აქტი, ხოლო მისი ინიციატორები — ფაშისტურ სახელმწიფოთა „დაქირავებული აგენტები“.

მოსკოვის „ინტერნაციონალისტების“ დემაგოგიური ყალთაბანდობის დაჯერება აღვილია, თუ კი გავითვალისწინებთ იმას, რაც მაგალითად, კავკასიაში და თურქესტანში ხდება. გასული წლიდგან, ბოლშევიკების მეთაურები, თავის აღვილობრივ დამქაშების და ასლი რუსიფიკატორების დახმარებით, რომლებიც ვითომ „მეცნიერი ლინგვისტები“

ბრძანდებიან, თავის აშკარა რუსიფიკატორული პოლიტიკის განხორციელებას შეუდგნენ. განაპირა ჩრდილოეთის ერების მაგალითით, როგორც ვოგულები, ესკიმოსები და სხვანი არიან, რომლებსაც უკვე წაართვეს ესლათინური ანბანი და ვითომდა მათთვის უფრო ახლო გარუსებული ანბანი ჩასჩარეს ხელში, მოსკოველმა მეთაურებმა განაცხადეს, რომ ეს გარუსებული ანბანი ახლოა აგრეთვე კავკასიის ზოგიერთ ერებისათვისაც და მაგალითად, ყაბარდოელებს და ბალყარებს იგივე გარუსებული ანბანი მისცეს, რომელიც, კაცმა რომ სთქვას, ჩვეულებრივი რუსული ანბანია.

ამ უამაღ ჩრდილო კავკასიის სხვა ერებსაც მოუტრიალდნენ და ყარაჩაელებს, აბაზებს, ინგუშებს და ჩაჩნებს „არა კმასაყოფელ ანბანის“ (ლათინურის) ნაცვლად იმავე „რუსულ გრაფიკას“ სთავაზობენ. ასეთია სამხარეო კომიტეტის დადგენილება, რომელშიაც არც ერთი ამ ერის წარმომადგენელი არ შედის.

ამ უკანასკნელ დროს ჩვენ შევიტყვეთ, რომ რიგში სდგას — და ეს უკვე გადაწყვეტილიც არის — რომ რუსულ ანბანზედ უნდა იყვნენ გადაყვანილნი დაღესტანის ხალხები და სხვანი. ფრიად საყურადღებოა ასეთი ზომის საჭიროების ოფიციალური ვერსია: — გალათინებული ანბანი (ახალი თურქულის საფუძველზედ) თურმე აძნელებს ამ ერების კულტურასთან (სიკ!) თანაზიარობას, იმ დროს, როცა რუსული ანაბანი ამას გაცილებით ააღვილებს და თვით დაღესტანის ერებსაც ეტყობათ, გული უფრო ლენინისა და სტალინის ენისაკენ უდევთო. მართლა ასე სწერია, რომ სტალინის ენისაკენო!. მართალია, იგივე ოფიციალური წყაროები იუწყებიან, რომ ამ უამაღ დაღესტანში, რუსული ენის „საბოტაჟის“ გამო მრავალი მასწავლებელია დათხოვილი და დაღესტანის ცაკის მიერ ასეთიგადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მეც-



ნიერი ლინგვისტები და პედაგოგები დიდ თავის მტვრევაში არიან: რუსული ანბანის 32 ასო საკმაო არ არის, რომ დალესტანის ენათა ყველა სპეციფიური ბერძნობა რიგიანად გადმოსცეს. საჭირო გახდა „ყველა და ყველა“ მოხალისის დაძახება, რათა ანბანს ზედმეტი ნიშანი შეუთხზან...

უკანასკნელი გარემოება თავის თავად ლალადებს, რომ დედა - ენის შესწავლის გააღვილებაზედ ლაპარაკი მხოლოდ სიყალბე იყო და ააღვილებენ მხოლოდ რუსული ენის შესწავლის საჭმეს, რათა ყოველივე და ყველაფერი გაარუსონ.

რუსულ ანბანზე გადასცლას თან ახლავს ამ ერების ორთოგრაფიის „შესწორებაც“. მაგალითად უკვე გამოცხადებულია, რომ სამხარეო კომიტეტი აბაზებისათვის, ყარაჩაელებისათვის, ბალყარებისათვის, ინგუშებისათვის და ნოლაელებისათვის „ეროვნული“ ორთოგრაფიის შედგენას შესდგომია და „სისტემატიზაციისათვის და პედაგოგიური გაუმჯობესობისათვის“ „გადასინჯული“ უნდა იყოს ყაბარდოელების და ავარელების ანბანებიც. ამ სპეციალისტების“ შორის, რომლებმაც კავკასიის ერთა ანბანები უნდა „გადასინჯონ“, კავკასიელის გვარი მხოლოდ ერთია (აბავი), სხვა დანარჩენები ყველა რუსები ან სხვა „ევროპიელები“ არიან.


მოკლედ: მე და ჩემმა მაზრმა მოვილაპარაკეთ და ჩემს ქმარსარატერი ვარგუნეთო.

რასთვის გახდა საჭირო მცირე ერთა „განათლების“ ეს კომედია, როცა ეს ერები უმოსკოვოდ თავისით ესწრაფვიან ჭეშმარიტ კულტურის მიღწევას? მხოლოდ ერთი რუსიფიკისათვის.

X

აზერბეიჯანის ლინგვისტების და სახალხო განათლების კომისარიატის წევრთა დარბევა და ოფიციალურად მოწვეულ სათათბიროს

მიერ აზერბეიჯანული ტერმინოლოგიის „გადასინჯვის“ გუშინდელი კომედია ხომ კიდევ ერთი საბუთია, თუ რას ესწრაფვის მოსკოვი. ბოლშევიკების ორმაგი თამაში აქ კიდევ უფრო ნათელია. ერთის მხრით ვითომდა სათუთი და ნაზი გრძნობა თურქული სამყაროსადმი და მეორე მხრით — სადისტური ეჭვიანობა, რომ ერთი და იგივე დიდ თურქულ შტოს ერებს ერთმანეთში არავითარი სულიერი დამოკიდებულება არა ჰქონდეთ. კერძოდ, დღევანდელი რუსეთის ბატონები ასჯერ ამეტებენ თავის წინაპრებს, და შიშით შესცემიან ყველა მოვლენას, რომელიც ამუღავნებენ აზერბეიჯანელების რაიმე „ლტოლვას“ მათ ანატოლიელ ძმებისაკენ. „აზერბეიჯანის თურქული ლიტერატურული ენის ორთოგრაფია“, პროფესორ - ლინგვისტ ჩობან - ზედეს, შაგი - ზადეს, ჯასან - ზადეს, სეიდ - ზადეს მიერ 1936 წ. გამოცემული, ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თაომჯდომარის სულთან მეჯიდ ეფენდიევის, სახალხო განათლების კომისარის შავბაზის და ახალი ალფავიტის კომიტეტის მონაწილეობით, ეხლა უკვე აღკრძალული წიგნია, მისი ავტორები სხვა და სხვა სასჯელს ხდილობენ და კომიტეტი გაუქმებულია. იცით რისთვის? იმიტომ, რომ ავტორებს თავისი არაფერი არ გამოუგონებიათ, შემოჰქმდათ თურქულ - აზერბეიჯანული ორთოგრაფია, შემოღებული ჯერ კიდევ 1905 წელს, ესე იგი პირველი „ბურუუაზიული“ რევოლუციის დროს, როცა ცოტა შესაძლებელი გახდა, რომ პრესა და ლიტერატურა დედა - ენაზედ გვქონდა. მაშინ აზერბეიჯანელებმა 17 ოქტომბრის კონსტიტუციით ისარგებლეს და დაეჩარნენ, რომ თავისი ორთოგრაფია სისტემაში მოეყვანათ, რასაც საფუძვლად თავის ანატოლიელ თანამოძმეთა ორთოგრაფია დაუდვეს, რომელსაც ხალხის ლაპარაკში, მაგალითად აზერბეიჯანის დასავლეთ ადგილებში, მანამდისაც ჰქონდა ადგილი. მეფის მთავრობა, რომელიც თავის სიყვარულს თუ-



რქული სამყაროსთვის არცა თუ ისე აშეკარად ამჟღავნებდა, დასაგმობს და „იმპერიის მთლიანობისათვის“ საშიშარს ამაში არაფერს ხედავდა. დღეს კი იმავე იმპერიის „ინტერნაციონალურ“ მთავრობას აზერბეიჯანულ ენაში „თურქული“ წერის მანერის შეტანა „აჯანყება“ ჰქონია.

რას წარმოადგენს ეს მანერა? მხოლოდ იმას, რომ, როგორც ყველა ხალხებშიაც ხდება, კერძოდ იმავე რუსთა შორისაც, არსებობს ცოტა რამ განსხვავება ხალხის გამოთქმისა და წერის შორის და ინტელიგენციის ცდა იქითკენ არის მიმართული, რომ სტაბილური ორთოგრაფიის საშუალებით, ეს განსხვავება შენიშნულ იქმნას. მოსკოვს კი, რომელიც დღეს არავითარ ქებას არა ზოგავს იმ რუსის მწერლებისა და პედაგოგებისათვის, რომლებმაც რუსული ენის რეფორმა და სტაბილური ორთოგრაფია შემოიღეს, თურქი ხალხების ენის რეფორმა არა სურს და ეყრდნობა მხოლოდ ლენინის სიტყვებს, რომ „საღაც არ უნდა ლაპარაკობდეს კრმუნისტი, ის უნდა მასსებზედ ფიქრობდეს, ის მხოლოდ მათზედ უნდა ლაპარაკობდეს“ - ო. ასე მსჯელობს ყოველ შემთხვევაში სახალხო განათლების კომისარი ბ-ნი ეფენდიევი მაჰმედ სადიქი, რომელმაც თავისი აბრძანება ტახტზედ იმითი აღნიშნა, როგორც ეს სახელოვან ბოლშევიკურ ტრადიციას შეშვენის, რომ თავის წინამორბედს წინამორბედი მიაყარა. აი რატომ არის, რომ როდესაც აზერბეიჯანელი მდაბიო კაცალიტერატურულ იარნაკის ნაცვლად იარნანს ამონბს, ან ტოფრაკის მაგიერ თორფახს, ამის შესწორება შეუძლებელი ყოფილა, იდეალური გამოთქმა. წროვედ ეს ყოფილა, ხოლო შესწორებული — მოსკოვისათვის საეჭვო რამ და „ოსმათიშიმი“ ...

ამ თავდადებულ რუსის ჩინოვნიკს შეიძლება ვუპასუხოთ: მაშ თუ ეგრე არის, რატომ მისმა ბატონებმა კი არ „გადასინჯეს“ თავისი რუსული ორთოგრაფია, რათა რუსულ მწერლობაში ეს „მასსების“ ლაპარაკი შეეტანათ

თავის „იგდე“-თი, „ოპოსლია“-თი, „ჩაუკონიანებით, მოვო“-თი, „ტაპერიჩა“-თი და სხვებით, რომელიც ასე ხიბლავდა ლენინს, მით უმტკს, რომ რუსული ლიტერატურა „კლასობრივი მტერის“ შექმნილია.

საყურადღებოა, რომ თავის „მასსების ლაპარაკის“ დაცვაში კომისარი ... ფიზულის ეპოტინება. კარგი იქნებოდა გვეკითხა საბჭოთა ფორმაციის ამ აზერბეიჯანელ ინტელიგენტისათვის: სად უნახა მან ფიზულის, რომ ასე უფრთხილდებოდეს „მასსების“ ორთოგრაფია?

ამ მოსკოვის მიერ ჩაყენებულ კაცის ამაო და სამწუხარო მიზანი უფრო ნათელი ხდება, როცა ის ლაპარაკობს, რომ ჩობანი და სხვა „ხალხის მტრები“ ხელს უშლიდნენ, რომ აზერბეიჯანულ ენაში ფეხი მოეკიდებინა „სხვა ახალ სიტყვებს და დიდი ოქტომბრის რევოლუციის ენას, რომელიც ჩვენთან ძლიერი რუსული ენის, ლენინის, სტალინის (კიდევ!), პუშკინის, გორკის ენისაგან მოდიოდა“ - ო. ასე მაგალითად, სიტყვები: „სოვეტი“, „პარტია“, „რევოლუცია“, „რესპუბლიკა“, ისევე უნდა დარჩენ, როგორც არიან, თუ არა მათი თარგმნა კიდევ ერთი საბუთი იქნება, ვითიქროთ, რომ აქ „ოსმანიზმი“, „პანთურქიზმი“, ან კიდევ უფრო „პანისლამიზმი“ იმაღება.

აჯანყება ყოფილა აგრეთვე, თუ თეატრის ნაცვლად თეატრო დაწერე, მეტრის მაგიერ მეტრო და სხვა — რაღაც ესეც თურმე „პანთურქიზმს“ უდრის. რა თქმა უნდა, „ორთოგრაფიის და ტერმინოლოგიის“ სწავლული კონფერენცია, რომელიც ამ დღეებში ბაქოში იქმნა მოწვეული, „გადასინჯავს“ აზერბეიჯანულ ენას მოსკოვისათვის სასურველ მიმართულებით, „მასსების“ ორთოგრაფიას დასტოვებს და თურქულ ენას „ლენინ - სტალინის ტერმინოლოგიით“ გამდიდრებს.

არც ის ითქმის, რომ მოსკოვის ამ ბრძოლაში თურქიზმის წინააღმდეგ, აზერბეიჯანი მარტო იყოს. ამ უამაღ მოსკოვი უზბეკისტანში

საშინლად სდევნის „პანთურქისტ“ მწერლებს და ფილოლოგებს, როგორიც არიან პროფესორი ფითრათი, ჩოპლანი, უსმანი, ნასირი და სხვანი, რომლებიც შეადგენდნენ „ჯალათაი-შურუნგის“ წრეს და მიზნად ისახავდნენ უზბეკური ენიდგან შეუფერებელი უცხო ტერმინები განედევნათ, რათა დაეახლოვებინათ იგი ჯალათურ ორთოგრაფიასთან, რომლითაც სწერდა შესანიშნავი ალი შირ ნავაი და მით ეს ენა უცხო და რევოლუციონურ რუსულ - ლენინურ ტერმინებისაგან განეწმინდათ. მოსკოვს ეს არა სურს, დემაგოგიურად ვითომდა უზბეკურ ხალხურ ენას ამ „მკვდარ ჯალათაურ ენისაგან“ იცავს, სდევნის ამ ხალხს, როგორც სხვა ერთა მწერლებსაც და კონტრ-რევოლუციონერებს და ხალხის „მტრებს“ უწოდებს.

აი ერთი დამახასიათებელი ადგილი აღვირა ახსნილ „პრავდა ვოსტოკა“-ს წირილიდგან, თუ რამდენად უბირია მოსკოვის ბრძოლა თურქულ ხალხებთან:

„ბურუუაზიულ ნაციონალისტების იდეოლოგიურ ბრძოლის სული და გული ფითრათი იყო, მოჭახრაკებული კონტრ - რევოლუციონური და პან - თურქიზმის უკვდავი ლიდერი... მის პოლიტიკურ ბიოგრაფიაში საბჭოების

წინააღმდეგ ბრძოლის ბევრ ეპიზოდს შეაწყობა დებით, დაწყებული კოკანდის ავტონომიაში მონაწილეობით და გათავებული ცდით, რომ მის ნამსხვრევებისათვის „ჩალათაი შურუნგი“ - ში მოეყარა თავი, რაიცა პანთურქიზმის იდეოლოგიურ ბჟეს წარმოადგენს.. პანთურქიზმის ყველაზედ უფრო იოლი თეორიები მისი გამოგონილია, მაგალითად — მტკიცება, რომ ჩალათაის პოეტები უფრო მაღლა დგანან, ვიღრე თანამედროვე ევროპის ლატერატურა, აღმოსავლეთის თვით - ყოფისა და თვით - განვითარების თეორია“ .. და სხვა...

აქ ბოლშევიკები ვითომ „დასავლეთს“ იცავენ, მაგრამ უკრაინაში იმავე „დასავლეთის“ ორიენტაცია „კაზუს ბელად“ ითვლება. მოსკოვი მხოლოდ ერთ ორიენტაციაზედ სთანხმდება — ეს არის ყველა არა რუსი ერის გარუსება.

მხოლოდ ამ საფასურით შეუძლია ამ ერების ინტელიგენციას გადირჩინოს თავისი თავი სრული მოსპობისაგან. მაგრამ მოსკოვის „ინტერნაციონალისტების“ განზრახვა წრეს გადასულია.

აზად ბეი

ჭერილი ენვერ - ფაშას

(თარგმანი თურქულიდან)

დოკუმენტებთა შორის, რომლებიც უკვე ისტორიულები გახდნენ, ჩვენ ვაქვეყნებთ აქ აზერბეიჯანის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის ექიმ ხასან - ბეგ აღაევის წერილის ნამდვილ თარგმანს — ენვერ - ფაშასთან.

წერილი მოგვითხრობს ბოლშევიკების მიურ მოკაუებით აზერბეიჯანის დაპყრობის ამბავს, დღესაც უტყუარი მნიშვნელობისა არის,

აკითხება დიდის უურადლებით, დაწერილია დიდის სიმართლით და საქმეში ჩახედულობით და ახასიათებს თეთრი თუ წითელი რუსეთის დამოკიდებულებას კავკასიის მუსულმანობასა და ოსმალეთთან.

ხასან - ბეგ აღაევი, აზერბეიჯანის ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, დაიბადა განჯაში. გაათავა მოსკოვის უნივე-

რსტიტეტის მედიკური ფაკულტეტი 1901 წ. დიდ მონაწილეობას იღებდა აზერბეიჯანის განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ბოლშევიკების შემოსევის შემდეგ ტფილისში გაიქცა, სადაც მოკლულ იქმნა. მისი მკვლელები, როგორც აზერბეიჯანის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე ფატალი ხან ხოისკის მკვლელები, საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ვერ აღმოაჩინა.

წერილი ენვერ - ფაშას

თქვენო მაღალ - აღმატებულებავ!

ერთი ხანიდგან აზერბეიჯანის პრესაში და განსაკუთრებით გაზეთ „იტიხად“-ში მედგრად და ხანგრძლივად დადიოდა სავსებით სხვადასხვანაირი და ცრუ ხმები, გავრცელებული ბაქოში მყოფ და ვითომ თქვენის დირექტორით მომუშავე ოსმალო ოფიცრების მიერ.

აზერბეიჯანის თურქთა შორის მედგარი პროპაგანდა სწარმოებდა, თითქოს თქვენსა და საბჭოთა მთავრობის შორის მომხდარ შეთანხმების მიხედვით, შეთანხმებულ მხარეთა ჯარებს თავი უნდა მოეყარათ ანატოლიაში და დაეწყოთ ომი ანტანტასთან, მუსულმან ქვეყნების და კერძოდ ოსმალეთის გასათავისუფლებლად. ამ ხმებში უმთავრესი და ძირითადი შემდეგი იყო:

რუსის ჯარი ისე გაივლიდა აზერბეიჯანში, რომ ბაქოში არ წესული, ყარაბახ - სომხეთის გზით ანატოლიისაკენ გასწევდა.

დასახელებულ ოფიცრებმა, რათა ამ მოჭორილ ამბებისათვის ხალხი აეყოლებინათ, დიდი ენერგია და მოქმედება გამოიჩინეს.

ამ მოძრაობას ხალილ - ფაშა, ბახა საიდი, ექიმი ფუადი და ბახაედინი მეთაურობდნენ.

იმასაც კი ლაპარაკობდნენ, რომ ჯარი, რომელიც რუსეთიდგან ანატოლიაში მიდიოდა, ვითომდა მხოლოდ ოსმალო, უნგარ და გერმანელ ტყვე - ჯარისკაცებისაგან შესდგებო-

და და მთავარ - სარდლად ენვერ - ფაშა ჰყავდა.

აზერბეიჯანის ხალხმა, თითქოს, დაიჯერა ეს ხმა და ინიციატორებს შეეძლოთ ეფიქტათ, რომ მათი მიზანი მიღწეულ იყო.


მაგრამ ამასთანავე, ხალხის შეგნების ძირში ეჭვი მაინც რჩებოდა, რადგან რუსებისა და ბოლშევიკების სიტყვა არავის სჯეროდა. მართალი რომ ითქვას, ბოლშევიკების მიზანი და გეგმები ყველამ იცოდა. მათი პოლიტიკა და საქციელი ხალხის ამ ეჭვებს და უნდობლობას აღასტურებდა. ბოლშევიკური პრესა სავსე იყო ბროშურებით და წერილებით, რომლებშიაც, რუსეთის ეროვნული აღორძინების იდეა 1914 წლის სამზღვრებში აშკარად იყო ნაჯადავევი.

აზერბაიჯანის პოლიტიკური მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა.

სამხედრო ორგანიზაციამ, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ თქვენი რწმუნებული და აზერბაიჯანში სტუმრად მყოფი ოფიცრები, თანდათან კარი გაულო რუს ბოლშევიკებს, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ, თვითონ მიიღო ბოლშევიკურ ორგანიზაციის იერი.

ამასთან ერთად ბაქოში მცხოვრებ რუსმა და სომეხმა მუშებმა თავისი ძალები აზერბეიჯანის ეროვნული მთავრობის წინააღმდეგ დარაზმეს. აპრილის დამდეგს, საბჭოთა მთავრობამ თავისი ჯარი აზერბეიჯანის ჩრდილო საზღვრებისაკენ წამოსწია, რომლის დამოუკიდებლობა ევროპის სახელმწიფოებმა უკვე იცნეს. აზერბეიჯანის გარეშე საქმეთა მინისტრის ნოტაზედ, თუ რა იყო მიზეზი, რომ საბჭოთა მთავრობა თავის მრავალ - რიცხოვან ჯარს აზერბეიჯანისაკენ სწევდა, ჩიჩერინისაგან პასუხი არაფერი იყო. თუმცა აღსანიშნავია, რომ მთელი ხნის განმავლობაში აზერბეიჯანს საბჭოთა მთავრობის მიმართ სულ მცირე მტრული მოქმედებაც კი არ გამოუჩენია.

პირიქით, სურდა რა აზერბეიჯანს, რომ საბჭოებთან მეგობრული და კეთილი მეზობ-



ლობა ჰქონდა, აზერბეიჯანის მთავრობამ იმ - თავითვე მიმართა საბჭოებს შესაფერი ხელშეკრულობანი დაედოთ ერთმანეთში.

მიუხედავად ამისა, 24 აპრილის ღამეს, ყოველივე საბაბის გარეშე აზერბეიჯანის მხრით, საბჭოთა ჯარმა ჩვენი სამშობლოს ჩრდილო სამზღვარი გადმოლახა. ვინაიდან ამ დროს აზერბეიჯანის ჯარის 99 პროცენტი ყარაბაღში აწარმოებდა ომს, აჯანყებულ სომხების წინააღმდეგ, სანაპირო ჯარმა, რიცხვით 300 კაცმა, რომელიც იცავდა ჩრდილო სამზღვარს, რუსის ჯარს ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია, თუმცა აღამიანისათვის შესაძლო საზღვრებში თავისი ვალი შეასრულა.

ბრძოლაში მკვდრები და დაჭრილები ორივე მხარეს ჰყავდა. ორი დღის შემდეგ, ბოლშევიკებმა თავისი აკრეფილი მკვდრები დიდის ამბავით დამარხეს ბაქოში.

27 აპრილის ერთ საღამოს რუსული ჯარი ბაქოდგან უკვე 15 კილომეტრზედ იდგა.

ხოლო როცა ამ ჯარის ნაწილები ქალაქში შემოვიდნენ, მათ მისასალმებელი სიტყვებით ხალილ - ფაშა და ექ. ფუადი შეხვდნენ, რომლებიც წითლებს „ჩვენ მოკავშირეებს“ უწოდებდნენ და მოსახლეობას აჩერებდნენ, რომ წინააღმდეგობა გაეწიათ.

ბაქოში შემოსულ ბოლშევიკებს თეთრ ნახევარ - მთვარიანი წითელი სამკლავურები ჰქონდათ, რომელიც სამი დღის შემდეგ მოიხსეს, რაკი საჭიროებამ გაიარა.

წითელი ჯარის ბაქოში შემოსვლისას, რუსის ბოლშევიკებმა, რომლებიც ქალაქში სკოვრობდნენ, მუსულმან - ბოლშევიკების რაოდენიმე რიცხვი ხელთ იგდეს და რუსული შტიკით გამაგრებულებმა, აზერბეიჯანის პარლამენტს ხელისუფლების გადაცემის ულტიმატუმი წაუყენეს — საბჭოთა მთავრობა აზერბეიჯანის დამოუკიდებლობას სცნობს და საბჭოთა ჯარი არა გზით იარაღით არ შევა ქალაქში, იმეორებდნენ ბოლშევიკები თავის მოთხოვნილებას. რადგან ქალაქში არა-

ვითარი შეიარაღებული ძალა არ იყო, პარლა-
მენტი იძულებული იყო ხელისუფლება სპე-
ციალური კომიტეტისათვის ჩაებარებინა, რო-
მელიც ამ მიზნით ბოლშევიკურ პარტიისაგან
იყო მოგზავნილი*).

ამ რიგად, 27 აპრილის ღამის 1 — 2 სათ-
ზედ, ხელისუფლება ფაქტიურად ბოლშევი-
კების ხელში გადავიდა, ხოლო იმავე დღისა,
რუსის ჯარმა, შეშალა რა თავისი დაპირება;
ბაქო დაიჭირა, აზერბეიჯანის მიღიციას
სწრაფად იარაღი აჰყარა და მათი იარაღი რუს
და სომეხ მუშებს დაურგა. დატუსაღებულ
იქმნა აზერბეიჯანის მრავალი მოხელე, ხო-
ლო ზოგი დახვრეტილი. მთავრობის წევრები
გაიქცნენ და იძულებული იყვნენ სარდაფებ-
ში და მთებში ემალათ თავი. ბაზრებისა და
მაღაზიების დაკეტვამ მოსახლეობაში წარმო-
უდგენელი პანიკა გამოიწვია. დაპატიმრებუ-
ლთა შორის პარლამენტის წევრებიც იყვნენ,
მაგ. მახმეტ ბაგირი, შარზამანლი და სხვანი.
აი სახელები, რომელთაც სიკვდილი მიესა-
ჯათ და დაივრიტნენ: ბაქოს გუბერნატორი
გენერალი მურატ - გირეი, ბაქოს პოლიციის
პრეფექტი — რუსტამ ბეი მირზაევი, სულეი-
მან ბეი ტაილანლი, აბუ ჯიბრაილ ოღლი,
აუდარ ემინ ოღლი, ყადირ ოღლი ჰასანი, მირ
მუხსინ ოღლი, მირ იბრაგიმი, ჰასან ოღლი ჰა-
ბიბი, ყურბან ოღლი აბდურახმანი, მეშედი
ჰუსეინი, შავერალი ალეკპერ ბეი და სხვანი.
ექვსი - შვიდი მუსულმანი - ბოლშევიკი პირ-
ველ დღეებში კომისრებად დანიშნული: მი-
რზა დავუდ ჰუსეინოვი, ყარაევი ალი ჰაიდა-

*) ქალაქში ერთად ერთი ძალა იყო: პარ-
ლამენტის მცველი რაზმი — „პარლამენტის
პოლკი“, რომელიც უმთავრესად ოსმალები-
საგან შესდგებოდა და რომელსაც ოსმალო
პოლკოვნიკი უმფროსობდა. ბარა საიდის
ხელმძღვანელობით ამ პოლკმა პარლამენტი
დაიჭირა და გადატრიალებას შეუწყო ხელი.

რი, ბუნიატ ზადე მუსაბეკოვი, ჩინგიზ ბეგ სულთანი და განი ალიმოვი — მათ ზედამხელველობის ქვეშ იმყოფებიან და ვერ ასრულებენ ვერც სამსახურს, ვერ ახდენენ ვერც ვერავითარ განკარგულებებს, თუ ამის ნებას მათთან მიჩენილი რუსისა და სომხის წითელი სამხედრო პირნი არ მისცემენ.

აზერბეიჯანელები ძრწოლამ მოიცვა, როცა ენვერ - ფაშის ნაცვლად ჯარის სათავეში მიქოიანი დაინახეს.

ამ უამაღ ქვეყნის ნამდვილი გამგეობა ქვემორე დასახელებულ რუს და სომებს პირთა ხელშია: მიქოიანის, ხაჩიანის, გაბრიელიანის, ორჯონიკიძის, ლევანდოვსკის, საველიევის და ლიბერმანის.

აზერბეიჯანელები, რომლებიც ამ გარემოებას შესცემიან, უნებურად იგონებენ 1918 წლის მარტის შავად მოსაგონარ დღეებს. მათ მშვენივრად გაიგეს, რომ ჯარი, რომელიც აზერბეიჯანს ბრძოლით შემოესია, მეგობარი არ არის და მოვიდა, რათა ქვეყანა დაიპყრას.

ამის დამალვას თვით რუსებიც საჭიროდ არა სთვლიან: იგი გამოთქმული იყო არა ერთ ხელ მათი პრესსის ფურცლებზედ.

ამ რიგად, ერთის მხრით რუსული პრესსის მოურიდებელმა საქციელმა, მეორე მხრით — ბრძანებამ, რათა აზერბეიჯანის ჯარისა და ხალხისათვის იარაღი აეყარათ, ხალხს ნამდვილი გრემოება დაანახვა. გამოჩენილ ოსმალო ოფიცრების დაპატიმრება, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ ბოლშევიკურ ინიციატივას სათავეში უდგნენ, ეჭვებისათვის არავითარ ადგილს აღარა სტოვებს.

ჰალილ - ფაშა, ბახა - საიდი, ბახა ედდინი, ექიმი ფუადი დაპატიმრებული არიან და რუსეთში გადაგზავნილი. ნური - ფაშა გაიქცა.

სომხები აზერბეიჯანის ასეთი მძიმე მდგომარეობით სარგებლობენ, მეთაურობა ხელთ იგდეს და ყარაბაღზედ შეტევა დაიწყეს; სომხების მთავრობა ყარაბაღელ სომხებს იარაღს

ერევნიდგან აწვდის... სომხები სულ წინიშეუვენ.

ამავე დროს აზერბეიჯანის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა დღითი დღე უფრო უარესდება.

რუსის ჯარი ჩვენ ქალაქებს და სოფლებს სცარცვამს და ჩვენ ქონებას რუსეთში ეზიდება.

რათა ხალხის ყურადღება სხვა მხრით გადახარონ, რუსებმა საქართველოს ეროვნულ მთავრობას აზერბეიჯანის სახელით ომი გამოუტადეს. ქართულ ფრონტზედ გაგზავნილი ჯარი ამავე დროს აზერბეიჯანის ხალხსაც სჩაგრავს.

ჩვენი ცოლები და ასულები გაუპატიურებულ არიან. სოფლები ნანგრევებად იქცნენ. დიდი სოფლები და ქალაქები რუსის ჯარებით გაავსეს.

და აი, განჯა, ყარაბაღი, ალდაში, შექი, ყაზახი, ზაქათალა, რომლებმაც ამ რეპრესიებს ვერ გაუძლეს — აჯანყდნენ.

23 მაისს შექის ცხენოსანმა პოლკმა, ჯევანშირის მაზრაში მყოფ წითელ სამხედრო ნაწილებს იარაღი აჰყარა, რომლის დროს მრავალი რუსის სალდათი მოიკლა. 30 მაისს, განჯის მოსახლეობა, 350 ასკერის დახმარებით, აჯანყდა, ორი - სამი საათის განმავლობაში იარაღი აჰყარა ქალაქის მუსულმანურ ნაწილში მდგომ რუსის ჯარებს და ერთი კვირის განმავლობაში თავს იცავდა. მაგრამ რუსები და სომხები შეერთდნენ, შეერთებულის ძალებით ქალაქს აღყარ შემოარტყეს და ძლიერი ზარბაზნის სროლით ქალაქი აიღეს. ქალაქში შეცვივნულებმა მოსახლეობას ულეტა გაუმართეს, რომლის დროს 5000 მუსულმანი მოიკლა, რომლის უმრავლესობა ბავშების, ქალების, მოხუცთა და ავადმყოფთაგან შესდგება. სახლები დანგრეულია, ქონება — გატაცებული. რუსების მხრით 4000 მკვდარი დარჩა.



აყვავებული ქალაქი განჯა სასაფლაოდ აქციეს. ბოლშევიკურმა პრობლემაშ აქ სომეხ - მუსულმანთა მტრობის ხასიათი მიიღო. სომხები შურს ძიობენ და მუსულმანებს რუსთა ხელით ულეტენ. 1918 წლის მარტის შავი დღეები ამ უამაღ განმეორდა არა ბაქოში, არამედ განჯაში.

დღეს მთელი განჯის მხარე იარაღში ჩამჯდარი და აჯანყებულია. ამ ორი - სამი დღის წინად ზაქათალაც აჯანყდა და მაზრიდგან ყველა წითელი გაჰყარა.

აზერბეიჯანის დამოუკიდებლობისაგან მოგონება - ღა ღარჩა.

აზერბეიჯანის მთელი ოფიცრობა, გენერლებით და პოლკოვნიკებით, დაპატიმრებულია და კუნძულ ნარგენზედ იმყოფება, მეცნიერების ხალხი და ინტელიგენცია იწყვიტება. მრავალი დაიხვრიტა, მრავალს კატორლა აქვს მისჯილი და ციმბირშია გაგზავნილი, ზოგი გაიქცა.

გადამთიელებმა, ჯარისა და ინტელიგენციის გაწყვეტით, აზერბეიჯანი უმათაურო გახადეს და ისე გაბატონდნენ შიგ^{*}).

საბჭოთა მთავრობა, საქართველოსთან დადებულ ხელშეკრულობის მიხედვით, უკანასკნელს ზაქათალას აძლევს, რომელიც აზერბეიჯანის განუყოფელი ნაწილია.

არ არსებობს არავითარი ეჭვი, რომ საბჭოთა მთავრობას, რათა ბაქოს ნავთი ხელში იგდოს სურს აზერბეიჯანის დანაწილება და მისი ნაჭერ - ნაჭერ სომხებისათვის და ქართველებისათვის და სხვ. გადაცემა.

^{*}) 27 მაისს კუნძულ ნარგენზედ დაიხვრიტა 79 კაცი, მათ შორის: ხუდადათ რაფიბეკოვი — განჯის გუბერნატორი, ისმაილ ხან ზიათხანოვი, გენერალი უსუბეკოვი, გენ. გაიდაბაში, პოლკოვნიკი ხან ნახიჩევანსკი, ბაქოს პოლიციელისტერი — გუდა გუდიევი და რედაქტირა.

აზერბეიჯანის მდგომარეობა დღითი და უარესდება. რუსები და სომხები, გაერთიანებულნი და ამით გაძლიერებულნი, ღუპავენ აზერბეიჯანს.

ბოლშევიკები ყველა ხალხებს თავისუფლებას ჰპირდებიან, მაგრამ როცა საქმე მუსულმანებამდის მიღის, მხოლოდ მუსულმანთა დაპყრობა და მათი დამონება სურთ. ეს ძველი რუსული პოლიტიკაა, რომელსაც ბოლშევიკებიც აგრძელებენ.

აზერბეიჯანის და თურქესტანის დღევანდელი ვითარება ამ აზრს სავსებით ადასტურებს.

აზერბეიჯანის სამხრეთ ნაწილს სომხეთს აძლევენ. აღმოსავლეთს — საქართველოს. ბაქო და მისი სანახები რუსებს თავისთვის უნდათ. მათ უნდათ აზერბეიჯანის ნავთი და ამის გამო ყველაფერზედ წავლენ.

ამ გამოუთქმელი უბედურების მიზეზი, რომელიც აზერბეიჯანს ეწვია, არის იმ ოფიცერთა შეცდომა, რომელიც თქვენის სახელით ჩვენში სტუმრად იყვნენ. აზერბეიჯანი იღუპება იმ შეთანხმების გამო, რომელიც თქვენ რუსეთთან დასდეთ.

თქვენო აღმატებულებავ! თქვენ რუსებმა მოგატყუეს. უმანკოდ დალვრილი სისალისა და დანგრეულ ქალაქების პასუხისმგებელი თქვენა ხართ, ვინაიდან მთელი პოლიტიკა თქვენის სახელით კეთდება, თქვენი სახელი რუსებმა გამოიკრეს და თავის ზრახვების ასრულებაშიაც თქვენის სახელით მოქმედობენ.

თუ მართლა, თქვენ რუსებთან ხელ - შეკრულობით ხართ დაკავშირებული, მინდა იმედი მქონდეს, რომ მიიღებთ ზომებს, რათა რუსის ჯარი აზერბეიჯანიდგან გაყვანილიყოს. ხოლო თუ არსებული ვითარება გაგრძელდა, აზერბეიჯანი უბრალოდ და სადათ რუსის გუბერნია შეიქმნება. მოკლედ, აზერბეიჯანი დაიპყრო მემარცხენე რუსის პარტიამ, რომელიც ძველი რუსეთის ძლიერების აღგენაზე ოცნებობს. არსებითად ეს პარტია არ-

აფრით არ განსხვავდება კოლჩაკის, დენიკინის და ვრანგელისაგან, რადგან მათი მისწრაფება იგივეა: ერთნი ახორციელებენ ეროვნულ მიზნებს მარჯვნიდგან, მეორენი — მარცხნიდგან.

არავითარი ეჭვი არ არის, რომ აზერბეიჯანი, რაც უნდა იყოს, შესძლებდა თავისი სახელი და დამოუკიდებლობა დაეცვა, თუ არა ზოგიერთ ავანტურისტების პოლიტიკა და წრეს გადასული დაპირებანი, რომლებმაც დამბლა დამართეს ჩვენი თავდაცვის უნარიანობას, და ხელი შეუწყვეს ჩვენ სამშობლოში რუსების შემოჭრას.

ამ ვაჟბატონებმა ეხლა უკვე შეიგნეს ეს, მაგრამ ნაგვიანევი სინანული უსარგებლოა. ხალხი ხედავს, როგორ ეზიდებიან ბოლშევიკები აზერბეიჯანის ქონებას მოსკოვში, არა სწამს ბოლშევიკების განმათავისუფლებელი მისია აღმოსავლეთში და შეუძლებელიც არის დაიჯეროს, რადგან რუსეთს უნდა არა აღმო-

სავლეთის განთავისუფლება, არამედ სიკუვლიალი.

თქვენო აღმატებულებავ! იქნება ჩემს წერილში შეცდომები შენიშნოთ. მაპატიეთ. მაგრამ დავსწერე როგორც შემეძლო და რაც ვიცოდი.

როგორც აზერბეიჯანელი წარმოუდგენლად ვიტანჯები. თუ კი თქვენგან შველა იქნება, აზერბეიჯანი შესძლებს, რომ თავი დაიცვას და დამოუკიდებლობის უფლება შეინარჩუნოს.

უბედური ამბების გამო, რომელიც აზერბეიჯანს ეწვია, ევროპის სახელოწიფოთა წინაშე ჩვენ პროტესტი განვაცხადეთ. ჩვენ მოვითხოვთ რუსული ჯარის განდევნას აზერბეიჯანიდგან.

დ-რი ჰასანი,
აზერბეიჯანის პარლამენტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე.

ტფილისი, ივნისი 13, 1920 წ.


ილიას ერთი პოლემიკა.

ამ შემოდგომის დღეებში, რომელიც საქართველოში ამინდით ასე ნაზი და მაჭრით ასე მტკბარია და როცა ქართველობა იქ ილია ჭავჭავაძის დიდ ეროვნულ ღვაწლს დღესასწაულობს, იქნება უადგილო არ იყოს, ზედმეტი სიტყვის და საიუბილეო პათოსის გარეშე, მოვიგონოთ პოეტის მოღვაწეობის ის წლები, ქართულ ეროვნულ შეგნებისა და საზოგადოებრივ განვითარების ისტორიასთან ასე მჭიდროდ გადაბმული, როცა პოეტის სატირული ნიჭი, ლვთის მიერ მისთვის განსაკუთრებულის სიყვარულით ნაბოძები, ასე ბრწყინვალედ გადიშალა. ეს მოგონება გააცოცხლებდა ჩვენთვის არა მარტო თვით პოეტს, არამედ მთელ ეპოქას, „მამათა“ იმ დროს და „შვილ-

თა“ იმ წრეს, რომლის მედროშე ილია ჭავჭავაძეს, იმ დროის მეორე შესანიშნავი პირი — ნიკო ნიკოლაძე ასე ახასიათებს:

„რაც კი რამ იყო ჩვენში ახალგაზდა, მხნე, ახალი წესისა და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავლის დროშა, რომელიც მხნედ ეკავა ილია ჭავჭავაძეს. ძველმა წესმა, ძველმა კაცობამ თავი შეაფარა „ცისკარში“ და ამნაირად, იმ ბრძოლაში, რომელიც გაიმართა „საქართველოს მოამბის“ და „ცისკრის“ შუა, სჩანდა ის ნამდვილი და ძლიერი ბრძოლა, რომელიც იმ დროს სდულდა ძველსა და ახალს შუა ჩვენს ცხოვრებაში“.

1861 — 63 წლების შემდეგ, როცა ილია პირველად გამოვიდა საზოგადო ასპარეზზედ,



ეს იყო 1871 და 72 წლები, როდესაც ილიას „პუბლიცისტურად“ მომართული მუზა ჯერ უნახავის გაბედულობით და გაბედულის უნახავობით აუღერდა.

ამ ორი წლის განმავლობაში ილიამ დასწერა: „პარიზი“, „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“, „ბედნიერი ერი“, „გამოცანები“ პირველი და მეორე, „პასუხის პასუხი“, „რჩევა“ და ქართულ მწერლობაში ამ უმაგალითო გალექსილი პოლემიკის ეპილოგი, ტკბილი და იმედიანი „ჩემო კარგო ქვეყანავ“.

ამ სარკასტული პოეზიის პოლემიკაში, რომელშიაც „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“ და „ბედნიერი ერი“ ილიასებური სატირულევრებად გვევლინებიან, ცენტრი მაინც მისი „გამოცანებია“.

თუ ილიას ყოველი თხზულება, სატირულად წარმართული, ნიშანში ამოღებული სროლა იყო, რომელიც შიგ შუაში ხვდებოდა მიზანს, მისი „გამოცანები“ ნამდვილი შრაპნელი იყო, რომელთაც პოეტმა მთელ ძველ თაობას თავზედ დააყარა. მას შემდეგ კარგახანმა გაიარა და ეხლა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს შრაპნელი ბევრ უდანაშაულო პირსაც მოხვდა. დაიჭრა ისეთი ხალხიც, როგორც თავ. გრიგოლ ორბელიანი და დიმიტრი ყიფიანი იყო, მაგრამ ეს უფრო სასროლი იარაღის ბრალი იყო, ვიდრე მსროლელის. დიდი ფარდებით მოსროლა დღევანდელი არტილერიის მთავარი ხერხია.

ეს საქმე იმპერატორ ალექსანდრე მეორის საქართველოში ჩამოსვლით დაიწყო. ძველი ამბავია. ქართველების საქციელიც იმ დროინდელი იყო. იმპერატორს თავად - აზნაურობა უნდა შეხვედროდა და „აღრესი“ მიერთმია. „აღრესის“ მირთმევაში, რომელიც იმ დროს საზოგადოებრივი აზრის და სურვილის გამოტვის ერთად ერთი წესი და საღსარი იყო, „თერგ - დალეულები“ განზედ ვერ დარჩებოდნენ და კომისიაში, რომელიც თავად - აზნაურობაშ ამ „აღრესის“ შესადგენად აირჩია,

„ძველი“ თაობის პირების გარდა, კათალიკების თაობის წარმომადგენლებიც მოჰყვნენ. ძველებიდგან ესენი იყვნენ: თავ. თავ. რევაზ ანდრონიკაშვილი — გუბერნიის მარშალი, გრიგოლ ორბელიანი, მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილი და დიმიტრი ჯორჯაძე და ახლებიდგან — ილია ჭავჭავაძე, ივანე თარხნიშვილი — ფიზიოლოგი პროფესორი, ბესარიონ ლოლობერიძე და ნიკო ნიკოლაძე.

ამ კომისიაში რომ ნ. ნიკოლაძეც მოჰყვა, ამ ცნობას აკაკი იძლევა. ეს გარემოება აღსანიშნავია, რადგან ნ. ნიკოლაძე თავად - აზნაურთა წოდებას არ ეკუთვნოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ კომისიას ირჩევდა არა მთელი საქართველოს თავად - აზნაურობა, რამედ ტფილისის გუბერნიის მაღალი წოდება, მაგრამ კომისიაში ქუთაისის გუბერნიის აზნაური ბეს. ლოლობერიძეც მოჰყვა. ყოველივე ეს იმისი მაჩვენებელია, რომ „აღრესის“ შედგენის საკითხში „ძველი“ თავად - აზნაურობა ფორმალობას დიდათ არ იცავდა და ახალ თაობას თავისი აზრების გამოთქმის საშუალება მისცა.

მიუხედავად ამისა, ილიას „გამოცანებში“ ხელ - აღებით ძველი თავად - აზნაურობა და კერძოდ ამ კომისიის „კონსერვატორული“ წევრები მოჰყვნენ. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ „ძველი“ და „ახალი“ თაობა კომისიაში ვერ მორიგდა.

კომისიაში „ახალმა“ თაობამ მოითხოვა, რომ თავად - აზნაურობას ხელმწიფოსათვის ცეკვისში უნივერსიტეტის დაარსება ეთხოვა. ილია, ნ. ნიკოლაძე, ბ. ლოლობერიძე და ივ. თარხნიშვილი უნივერსანტები იყვნენ. მათი ჯარიც უმთავრესად უნივერსანტებისაგან შესდგებოდა. გასაოცარი არაფერია, რომ საქართველოს გამოღვიძების ხანაში, მათი უმთავრესი საგანი და მიზანი ხალხის განათლება იყო. ამ აზრის თავგამოდებული მოსარჩევე ივ. თარხნიშვილი უნდა ჩაითვალოს. ახალგაზდა მეცნიერი და განთქმული ლექტორი, ამ დროს ტფილისში საჯარო ლექციებს კითხუ-

ლობდა და განსაკუთრებით ქალთა უმაღლეს განათლებას ქადაგებდა. მისი გავლენის ბრალია, რომ იმ დროს ახალგაზდა ქართველი ასულები მრავლად წავიდნენ ევროპაში ამ უმაღლეს განათლების მისაღებად; გ. წერეთლისა და სერგეი მესხის წერილების წყალობით ჩვენ ისიც ვიცით, თუ ვინ იყვნენ ის პირველი ქართველი ქალები, რომლებმაც განათლებისათვის ევროპას მიაშურეს.

მაგრამ ერთი იყო ამ მცირე წრეების მაღალი სურვილები და სხვა სურათს იძლეოდა სინამდვილე კავკასიაში, საღაც ოცი საშუალო სასწავლებელიც არ არსებობდა, რომ უნივერსიტეტისთვის საჭირო სტუდენტთა რიცხვი მიეწოდებინა. დასასრულ, რუსული უნივერსიტეტი იმ დროს ტფალისში, მხოლოდ რუსითიკაციის ახალი კერა იქნებოდა. ამიტომ კომისიაში ლიბერალებმა ვერ გაიმარჯვეს. აკაკი, რომელიც ამ ოთხ „თერგდალეულზედ“ უფრო იდეალისტი იყო და ეტყობა უფრო სწამდა, რომ ტფილისში 1771 წელს უნივერსიტეტი იხეირებდა, „ახალი“ თაობის ამ მარცხს ბეს. ლოლობერიძეს აბრალებს. იგი ამბობს, რომ „ძველებმა“ ბეს. ლოლობერიძე გადიბირეს და უნივერსიტეტის ბედი ამან გადაჭრაო. მაგრამ იმ ხანად რომ თავად - აზნაურობამ უნივერსიტეტის დაარსებაზედ არ იშუამდგომლა, ბეს. ლოლობერიძე არათერ შუაში იყო.

ბეს. ლოლობერიძე „თერგ - დალეულებში“ წლოვანობით ყველაზედ უმცვროსი იყო და სავსებით დამოუკიდებლად შეეძლო ჰერიტაჟის მხოლოდ „ოცნება“ იყო. პრაქტიკული ხალხი იყო თვით ეს „ძველი თაობა“, რომელსაც საკუთარი პატრიოტიზმი თითონაც ჰქონდა.

დრო სხვანაირი იყო. საქართველოს აღმოსავლეთი საზღვარი სპარსეთისაგან უზრუნველყოფილი იყო, შამილი რუსეთთან შერიგებული და მთა დაწყნარებული, ჯავახეთი და სამცხე შემოერთებული. მაგრამ ქართვე-

ლების რუსულ ჯარში სამსახურით გატაცება ჯერ კიდევ დამცხრალი არ იყო. რუსეთის სახელმწიფო საზღვარს იქით ჯერ კიდევ მოზრდილი ქართული ლუკმა იდო. ეს იყო არტაანი, ოლთისი, ართვინი, არტანუჯი და ბათუმის მხარე. წლებიც ისეთი იყო, როცა რუსეთი ოსმალეთთან ომისთვის ემზადებოდა. როცა ექვსი წლის შემდეგ ეს ომი მოხდა, აღვილი ჰქონდა არა მარტო იმ ამბავს, რომ ქართველობამ ამ ომში საგრძნობი მონაწილეობა მიიღო, აღვილი ჰქონდა სხვა კერძო საყურადღებო ეპიზოდებსაც, რომელიც იმ დროის ქართული სულის კვეთების სურათის საერთო ხაზმოსმულობასაც ათავებენ.

ამ ომში თავ. ზაქარია ჭავჭავაძის რუსული კავალერია ოსმალეთის კავალერიას შეხვდა, რომელსაც მუსა - ფაშა კუნდუხოვი უფროსობდა. ეს ის მუსა - ფაშა კუნდუხოვია, რომელიც თავის მთიელ თანამოძმებით ოსმალეთში გადასახლდა და რომლის რუსულად დაწერილი მოვონებანი პირველად „კავკაზ“-ში დაიბეჭდა. მოხდა ის, რომ ქართველ გენერლის რუსულმა კავალერიამ კავკასიელ ფაშის ოსმალურ კავალერიას აჯობა. არტაანის მალლობებიც მეორე ქართველმა თავ. მიხ. ამირეჯიბმა აიღო, იგივე იყო დევე - ბონეს გმირი და ზრუმშიაც პირველი შევიდა. ეს იყო ისეთი „რუს“-ის გენერალთაგანი, რომელიც ყოველ ომის წინ, მკლავის წასახალისებლად, გრიგოლ ორბელიანის „საღლეგრძელოს“ კითხულობდა. მოკლედ, ეს იყო დრო, როდესაც რუსეთს ქართული მიწები შემოჰქონდა.

როდესაც ომი გათავდა და ბერლინის კონგრესის დადგენილების ძალით არტაანი, ოლთისი, ართვინი, არტანუჯი და ბათუმის მხარე რუსეთმა შეიერთა, აჭარლების პირველი გამოჩენა ტფილისში გრიგოლ ორბელიანმა და ილია ჭავჭავაძემ, „ძველმა“ და „ახალმა“ თაობამ, ერთად იდლესასწაულეს.

ამის გამო გრიგოლ ორბელიანი სწერდა სოფიო ორბელიანს:

„ასე ჩემო სოფიო... დიდის იმპერატორის ძლიერებამ... ჩვენი ძმანი, ძველნი ქართველნი, აჭარა, ლივანა, ქობულეთი ბათუმით განათავისუფლა ოთხ - ასის წლის ტყვეობიდან და შეართა დედა - საქართველოსა, რომლისა შედეგსა ეხლა ვერ მიხვდება გონება კაცისა“.. თითქმის იმავე სიტყვით ალაპარაკდა ამ ამბავზედ ილიაც:

„ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლ - ხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავის ბედისა“, ჩვენის გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო, — დღეს ჩვენ შემოგვიერთდა და თუ კარგად მოიქცევიან — ვის ხელთაც აწ იმათი ბედია, ჩვენთან იქნება კიდეც სამულამოდ“...

1871 წელს, ესე იგი ამ ომზედ ექვსი წლით ადრე და საზოგადოთ მთელი სამოცდა ათი წელიწადი, რაც რუსეთი საქართველოში ბოგონბდა, ქართული წინაკაცობის სულისკვეთება, რუსეთის წინააღმდეგ მრავალის აჯანყებისა და შეთქმულობის მიუხედავად, ასეთი იყო. ზოგმა ჩვენი დროის მწერალმა ასეთ მოვლენას შესანიშნავი ტერმინი მოუნახა და ამნაირ ვითარებას სულის „გაორებას“ უწოდებს, ავიწყდება რა ის გარემოება, რომ შავ-ბედში მყოფი ერები ხან ჯანყდებიან და ხან მორჩილებით სცხოვრობენ, იმის და მიხედვით თუ რომელი მოვლენა რა სარგებელს იძლევა.

კომისიაში „ძველებმა“ აზალთაობის აზრი არ გაიზიარეს და რუსული უნივერსიტეტის ნაცვლად, რომელსაც მაშინ საქართველო თავში არ იხლიდა, ტფილისში „კადეტთა კორპუსის“ დაარსება მოითხოვეს.

ლიბერალები დამარცხდნენ. რუსული უნივერსიტეტი ბრძოლის საგანი ვერ გამოდგა. ილიამ ეს კარგად იგრძნო. იგრძნეს სხვებმაც. მაგრამ საჭირო იყო თვით „ლიბერალიზმის“ დაცვა, რომელსაც სხვა გარემოებაში და სხვა მიზნებისათვის კიდევ დიდი სარბიელი ჰქონდა და ილიამ თავის „გამოცანები“ დასწერა.

პირველ წყებაში ცხრა „გამოცანა“ შევიდა, მეორეში — ხუთი და რაღა თქმა უნდა, რომ პირველი წყების პირველი „გამოცანა“ გუბერნიის მარშალს, თავ. რევაზ ანდრონიკაშვილს ეხებოდა, რომელმაც „ქვეყნის (ლიბერალების) თხოვნა“ არ შეიწყნარა:

1.

ულვაშ სრული, მელოტია,
უთაური თავიანი,
ხელთა - მლოცი, ქონდრის კაცი,
დიდგულა და ბოხ - ნმიანი.
თუმცა ტანალ პატარაა,
სხვაფრივ კი კარგად დიდია,
ქვეყანა და ქვეყნის თხოვნა
იმას ფეხებზედ ჰქიდია.

მერე მოდიან გიორგი მუხრან - ბატონი, ივანე მუხრან - ბატონი, პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ჯორჯაძე, იასე ჭავჭავაძე, ბესარიონ ლოლობერიძე, გრიგოლ ორბელიანი და მეორე წყებაში: ლორის - მელიქოვი, ლევან მელიქიშვილი, იოსებ თარხნიშვილი, მიხეილ თუმანიშვილი და დიმიტრი ყიფიანი.

ავტორი გრიგოლ ორბელიანს და დიმიტრი ყიფიანს მაინც გაუფრთხილდა და როგორც მკითხველიც დაინახავს, ორივე გამოცანების ბოლოებში მოაქცია.

პირველი შთაბეჭდილება, რომელიც გამოცანებმა მოახდინეს, ყოველს შემთხვევაში გრიგოლ ორბელიანზედ მაინც, არც ისე მწარე იყო. მან სთქვა: „არა, არა მწყინს, მამას არ უნდა ეწყინოს სილა თავის პატარა შვილისა. ერთი რამ მაწუხებს მხოლოდ: იქ, ზემოდ მივა ეს ამბავი და არ ივარგებს. არავინ არ უნდა იცოდეს ჩვენი იდუმალი გულის ზრახვანი“ - ღ.

მაგრამ „გამოცანებში“ მოხსენებული იყო იმდენი მისი მეგობარი, იმდენი გენერალი, გენერალ - ადიუტანტი, ტაინი და სტატსკი სოვეტნიკი, რომ გრიგოლ ორბელიანსაც ისევე

უნდა. დაეცვა თავისი კონსერვატორული წრე, როგორც ილია ჭავჭავაძე თავის ლიბერალიზმს. იცავდა. გრიგოლ ორბელიანმა თავის „პასუხი შვილთას“ პირველ ვარიანტი დასწერა:

კოლო - ბუზებო,
ლიბერალებო,
ჰერიტ გლახებო, პატრიოტებო,
გზა - დაკარგულნო,
წყალ წალებულნო,
კატის კნუტებო, საიდგან კნავით?

კერძოდ ილიაზედ პოეტი სწერდა:

ის ლიბერალი,
ბურთივით მრგვალი,
ზნეობის მცველი ამას ჰქალაგობს:
„ლოცვა რათ გვინდა?
ღმერთი რათ გვინდა?
ჩვენი გონება არს ჩვენი ღმერთი“. —

რაზედაც აკაკი უპასუხებდა:

იმ ლიბერალს, ბურთივით მრგვალს,
რათ უპრაწავ მრისხანედ თვალს?!...

მაგრამ საჭირო იყო რომ პასუხი თვით ილიასაც გაეცა და, 1872 წელს, 28 იანვარს, ილიამ დასწერა თავისი არა ნაკლებ შესანიშნავი „პასუხის პასუხი“.

ამ პოლემიკამ იმდროინდელი ქართველობა ბევრი ალაპარაკა. ასეთი პოლემიკა ორ კაცსა თუ ორ თაობას შორის, სპორტს რომ რითომე ჰგავდეს, იქ იდგებოდა მესამე კაცი — არბიტრად წოდებული, რომელიც ბრძოლას თავდარიგს მისცემდა. მაგრამ ომი არასოდეს სპორტი არა ყოფილა და დასანანი აქ არაფერია. აღამიანს სხვა ლირსებაცა სჭირს, რომელიც ბრძოლის ზედ მეტ ზიანს ანაზღაურებს. ილიას ეს ლირსებაც ჰქონდა. როდესაც წლებმა გაიარეს და გრიგოლ ორბელიანი მოკვდა, ილია ჭავჭავაძე თავის „სხვა“ საქართველოთი მის კუბოსთან გამოცხადდა და სთქვა: — ოდესლაც საქართველო შეიგნებს თუ რა აღამიანს ვმარხავთ დღეს და მისი გული სიამაყით გაიგსება, რომ ასეთი დიდბუნებოვანი აღამიანის დაბადება ჩვენ სამშობლოსაც შესძლებიაო...

შ. ამირეჯიბი

ე რ ი

რა არის ნაცია, ანუ ერი? მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხს და ცნებას უპირველესი ადგილი უნდა ეკუთვნოდეს აღამიანისა და კაცობრიობის შეგნებაში, ის საკმარისად ცხადი და ნათელი არ არის. მის უდაოდ შეგნებისათვის თითეული აღამიანის შეგრძნობა უფრო მეტად საჭიროა, ვიდრე განყენებული ჩამოყალიბებული აზრი. და ეს ასეა იმ დროს, როდესაც ეს უდიდესი ცნება უდიდეს ფაკტორად გაიზარდა. უეჭველია, რომ ერი იგივე არ არის, რაც რასსა და ან სახელმწიფო, რო-

გორც ეს ჩვენშიც არსებულ ერთ ცნობილ მოძღვრებას ჰქონდა წარმოდგენილი. შესაძლებელია, წინდაწინ და ზერელედ განვმარტოთ, რომ ნაცია ანუ ერი არის აღამიანთა ისეთი კრებული, რომელსაც თავი ბუნებრივად შეერთებულად მიაჩნია სხვა და სხვა განსაზღვრით (აფინიტე) და რომლისტვის ეს უკანასკნელი გარემოება ისე ძლიერია, რომ ისინი კმაყოფილი არიან, როცა ერთად სცხოვრობენ, ხოლო უბედურნი ცალ-ცალკე ყოფნით, ან შეწუხებულ - უკმაყოფილო, როცა

სხვის მფარველობის ქვეშ იმყოფებიან. მაგრამ ერის ცნების ჭეშმარიტად გასაგებად აუცილებელია ვიცოდეთ, თუ როგორი არიან ის განსაზღვრანი და შემათანხმებელი ძალები, რომლებიც გაგრძნობინებენ მის თანამედროვე შეგნებას. ესენია: რასიულობა — ენა — რელიგია — გეოგრაფია — ეკონომიკი ინტერესი — ისტორია — ერთ და იგივე ძალის ქვეშ ხანგრძლივი ყოფნა.

ესა თუ ის ერი წარმოადგენს ამა თუ იმ რასსა. მაგრამ არ არსებობს ერი, რომელშიაც შერეული არ იყოს უცხო რასსის ელემენტი. ამ უკანასკნელს იტევს ხოლმე ძირითადი რასსა თავის ეროვნობაში. ეს მოვლენა ადვილი გასაგები გახდება თუ გავითვალისწინებთ ხალხთა იმ შერევასა და გადაჯგუფებებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა ჩვენს წინაისტორიაში. და რომ რასსა იგივე ერი არ არის იმნაირადვე თვალსაჩინოა, თუ გადავხედავთ ლათინურ რესსაზე წარმოშობილ ერთ, აგრეთვე სლავიანურ რასსის ერებს, კელტებს და სხვა. რასიულობის ფაქტის გამო ამ ერებს თავი ერთ ერად არ უგრძნიათ. სწორედ აქ სჩანს რასიულისა და ნაციონალური რაობის სხვა და სხვაობა. ერის გაგებას ისეთ კათეგორიებისაკენ არ მივყევართ, როგორც რასსიზმს. ცხადია, ერში საჭიროა რასიულობისათვის ზრუნვა - მოვლა. მაგრამ ეს არ ნიშნავს ერთი რასსის უპირატესობას მეორეზე.

მეორე დამახასიათებელ თვისებათაგანია ენა. ზოგჯერ ენა ხერხემალია ეროვნულობისათვის. ერი როგორც ეროვნების სუბიექტი, თავის თავს ენისა და მით შექმნილ ლირებულებებით გამოსთვამს. იგი არის ეროვნულ წარმატების უდიდესი ძალა. და კიდევაც აღნიშნავენ, რომ ენა არ არის მარტო სიტყვათა სისტემა, არამედ ერთგვარი გონებრივი მექანიზმი. მაშასადამე, ერთ და იმავე ენით ლაპარაკი დახლოებით ერთ და იგივე აზროვნებასა ჰგავს. ძველი საბერძნები, ყოველთვის დანაწილებული და ერთმანეთში მოქიშპე,

ერთიანდებოდა ხოლმე ბარბაროსთა წინააღმდეგ, მხოლოდ სპირიტუალიზმის წიაღაგზე, რომლის სიმბოლოა ენა. იგი დიდ პირობათაგანია. მაგრამ უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ არა მუდამ გადამწყვეტი. მაგალითად, შვეიცარული ერი სამ ენაზე ლაპარაკობს. სამ ენაზევე ლაპარაკობს ბელგიაც. დიდ ინდოეთის ყველა წარმომადგენლებს კი მხოლოდ ინგლისურად შეუძლიანთ ერთურთის გაგება. არც არავინ ფიქრობს, რომ ინგლისურად მოლაპარაკე ამერიკელები ინგლისელები არიან. მაგრამ ენა ერში უდიდესი შემქნელი, შემომქმედი ძალაა. შემდეგ მოდის რელიგია, რაც აკავშირებს და არ ქმნის ერს. ბევრი ბელგიელი რელიგიურად უფრო მეტად განსხვავდება ერთმანეთისაგან, ვიდრე პევრი მათგანი ჰოლანდიელებისაგან, თუმცა ნათელია, რომ ესენი ორი სხვა და სხვა ერია. არსებობს დიდი ინდოეთის ერი ორის რელიგიით — ისლამით და ჰინდუზმით. აგრეთვე გერმანელები ნახევრად პროტესტანტები და ნახევრად კათოლიკენი არიან. ინგლის არასოდეს სჯულის ერთობა არა ჰქონია. თუმცა ისინი დასრულებულ ერს წარმოადგენენ. ასევე ითქმის გეოგრაფიულ ერთ და იგივეობაზე. გეოგრაფიული ერთიანობა ან ხელს უწყობს ან მხოლოდ აძნელებს ერის ჩამოყალიბებას, მაგრამ ერს არ ჰქმნის. შეიძლება ერი გეოგრაფიულად ფრიად სხვა და სხვა ჯგუფებს წარმოადგენდეს, როგორც საბერძნეთია მაგალითად. ამ მხრივ საფრანგეთ - გერმანიის საზღვრები შემთხვევით საზღვარს უფრო გავს, იმდენად მსგავსია იგი. მეორე მხრივ უნგრეთი გავს მთა შემორტყმულ დიდ ველს ერთის ჰიდროგრაფიული ბაზით, რომელმაც ერის მთლიანობა ვერ შექმნა. უნგარი და მაგიარი სხვა და სხვა მოდგმაა. ამ რიგად, ნათელია, რომ გეოგრაფიული ერთი და იგივეობა არაა არც აუცილებელი და არც საკმარისი გარემოება ერის ჩამოსაყალიბებლად.

ხოლო მეტად საინტერესოა თუ რა როლი

აქვს მიკუთვნებული ერის შექმნაში ეკონო-
მიურ მოტივს. სწორედ აქა ვხედავთ, რომ
ყველაზედ მართალი ის არ არის მუდამ, ვინც
ყველაზე მეტსა ჰყვირის. ჩვენს დროში ბევრ-
ჯელ გვსმენია და დღესაც გვესმის, რომ ყო-
ველი მოვლენა ეკონომიური მიზეზით უნდა
აიხსნასო. თუ როგორ შეიძლება ამგვარი ლო-
ლიკით ყველა ჰუმანიურ, მიზნისათვის ბრძო-
ლის და იდეალისტობის ახსნა — ის სარკეა,
რომელშიდაც ასეთი მოძღვრების უვარვისო-
ბა მოსჩანს. რაკი აქ ვეხებით ეკონომიურ მო-
ტივის როლს მხოლოდ ერის შექმნის საკითხ-
ში, საკმაოა როგორც მაგალითი, ითქვას, რომ
არ არსებობს არავითარი ეკონომიურ ინტე-
რესთა იგივეობა სამხრეთ საფრანგეთის მევე-
ნახისთვის და ჩრდილოელ, ვთქვათ, ქ. ლილის
მუშისათვის. აგრეთვე აშკარაა, რომ აღმოსა-
ვლეთ პრუსიელნი უფრო ახლო არიან ეკო-
ნომიურ ინტერესთა მიხედვით, მოსაზღვრე
პოლონელებთან, ვიდრე საქსონის მუშებ-
თან. თუმცა, აშკარაა, რომ რა კუნჭულიდანაც
არ უნდა იყოს გერმანელი, შეგნებულად ის
გერმანელია. მათში შეიქმნა რასსიზმიც და
მოგეხსენებათ, რომ რასსიზმი არ არის მარტო
ომის შემდეგი მოვლენა. ამნაირად ყველა
თქმულიდან უნდა დავასკვნათ, რომ ეკონო-
მიურ ინტერესთა იგივეობის მოტივი სხვას-
თან შედარებით მცირე მნიშვნელოვანია. ერის ჩამოყალიბების პროცესში ასეთი თეო-
რია ატყუებს ისეთ კაცს, რომელიც მხოლოდ
თავის ცხვრ წინ იხედება. ეს ფაკტორი მხო-
ლოდ ჰყოფს და არ აერთებს ერს, როცა იგი
სცილდება კლესიურ ინტერესს. და რაკი მი-
უწედავად ამისა ნაციონალური მოძრაობანი
მაინც არსებობენ, რაკი მათი გამარჯვებანი
უდიდესი მიღწევანი არიან ერებისათვის და
აქედან კაცობრიობისათვის, რის გამო ამდენ
მოვლენას ჰქონია ადგილი და რომელზედაც
ისტორია აშენებულა, მაშ სად ღა უნდა დავი-
ნახოთ ეკონომიურ მიზეზის უპირატესობა?!
იქ ხომ არა, რომ, მაგალითად, კაპიტალის-

ტურ ეპოქაში და აქედან ერებში ეკონომიურ
ინტერესების ნიადაგზედ კლასები წარმოიშ-
ვენ, რამაც არა თუ შეკვეცა ერის ცნების მნი-
შვნელობა, ნაცია, ნაციონალური ერთეულე-
ბი, არამედ ისინი უფრო გაიზარდა და დღეს
ყველასათვის გარდაუვალ ისტორიულ დებუ-
ლებად აქცია. მაშასადამე, წინსვლა და ისტო-
რია მიემართება იქეთკენ, რომ ერთი ერისა-
გან ერთი სახელმწიფო მივიღოთ და რა იქით-
კენ, რასაც ეკონომიურ ინტერესთა უპირატე-
სობის მოციქულნი გვასწავლიდენ, სავალდე-
ბულო კოსმოპოლიტიზმით პროცესის ბოლო-
ში.

განვიხილოთ, თუ როგორია ეროვნები-
სათვის ისტორის მნიშვნელობა? ისტორის იგ-
ივეობა სხვა და სხვა დროს, სხვა და სხვა ძა-
ლით ცხადდება. წარსული თუ მომავალი, გა-
მარჯვება თუ დამარცხება, სიმღერა — გა-
ლობანი, მითი თუ გმირი, ისტორიული სახე-
ლები თუ ტაძარი და სხვა დიდი აშკარა ფაქ-
ტორებია. ჩვენთვის მაგალითად, ქართველი
ერის ისტორიაც ამის მღალადებელია.

ამავე დროს აღვნიშნავთ, რომ ოტომანთა
იმპერიამ, მასში შემავალი ერები ერთ ერად
ვერ შეადულა, ერთმა ისტორიამ ეს ერები ვერ
მოსპო და ამ ერებმა თავისი ახალი ისტორია
შეჰქმნეს. მაგრამ უნდა აღინიშნოს აგრეთვე
ის გარემოება, რომ ზოგჯერ ერთი და იგივე
ძალის ქვეშ ხანგრძლივი ყოფნა, რომლის
მართველობა სისტემატიური და მძლავრია, ან
თუნდაც დესპოტიურიც, ერის ჩამოყალიბე-
ბის შესაძლებლობას ჰქმნის. განსაკუთრებით
იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება იმდენად
გამჭრიასია, რომ კანონთა ისეთ სამართლიან
და თანაბარ სისტემას იძლევა, რომელიც იქ
შემავალ წევრთა არსებობისათვის მისელები
ხდება... მაგალითად, შარლ მენუთე და ფილიპ
მეორე იყვნენ, რომ დაყოფილი ისპანია ერთ
ძლიერ ერად ჩამოყალიბა. შემდეგ, ვიდრე
ინგლისი ინდოეთს ერთი და იგივე ფისკა-
ლურ - აღმინისტრატიული სისტემით არ და-



ეუფლა, ინდოელებმა ერთი ეროვნება ვერ გამოიჩინეს. ესე იგი ეს მოვლენა ნაყოფიერია იქ, სადაც საამისო ნიადაგი არსებობს, სადაც არსებობს ნაწილი მაინც იმისა, რაც ჩვენ აქ განვიხილეთ, როგორც ერის დამახასიათებელი თვისებანი და რაიცა წარმოადგენს ერის ცნების შინაარს თანამედროვე გაგების მიხედვით.

ყველა ზემოთქმულის დასკვნა ის არის, რომ ერის ესა თუ ის ძირითადი განსაზღვრა, სხვა და სხვა დროს და სხვა და სხვა ადგილას. ხან მეტს და ხან ნაკლებ როლს თამაშობს ნაციის, ერის არსებობაში. არც ერთი მათგანი არ არის ერთადერთი და აუცილებელი. სინამდვილესთან მართლაც ახლოა მხოლოდ ის, რომ ეროვნული განცალა ძირითადი ძალა შემდეგ

შეგნებით და ეს განცალა იმდენად ძლიერია, რამდენად ის სოლიდარულად მიღებულია მთელი ეროვნული კოლექტივის მიერ. აქ კი მას ადამიანები და ადამიანის სურვილი აძლევს ძალას.

რენანი ამბობდა: „ერთი ერი — ერთი სულია, ერთი სპირიტუალური პრინციპია... ერი როგორც პიროვნება ერთი წარსულის შედეგია... წარსულში დიდების მქონე, ერთი მაჯის ცემის მოსურნე, რომ დიდება ერთად ჰქონია და მომავალშიც სურს კიდევ ჰქონდეს. აი რა ყოფილა საჭირო, რომ ერი იყო“.

რაკი ეს ასეა, აშკარაა ისიც, თუ რაოდენ მტკიცე ყოფილა ქართველი ერი.

სევ. ურუშაძე

თეიმურაზ პირველი და მისი პოემა „წამეგა ქეთევან დედოფლისა“

(დასასრული*)

4. შირაზის ნადიმი

დედოფალი ქ შირაზს 12 (22) სეკტემბერს 1624 წ. აწამეს შაპაბაზის ბრძანებით, ხოლო შირაზის ხანის უშუალო განკარგულებით. რომ ბრძანების აღმასრულებელი სწორეთ შირაზის და სხვათა დიდი ბატონი, „ხანლარ - ხან“ იმამ - ყული ხანია, ეს თეიმურაზის პოემაში ასეა გადმოცემული:

29, 1-2:

რა შააბაზ შეუთვალა შირაზისა ხალარ ხანსა:
„შენ ქეთევან დედოფალსა ნუ აცოცხლებ
დიდსა ხანსა...“

30:

თუ მუსურმანი შეიქმნეს ეგე ლალი და ჯანია, მაჰმადის რჯულზედ მოიქცეს, აზრაველს მისცეს ჯანია, მე მურთუზალი მითიცავს არ უყო ისკანჯანია. არა გმოს იესო ქრისტე — მიეცით დიდი რჯანია*).

*) „მურთუზ - ალი“ (ლვთის მიერ) შეწყნარებულ ალის - ს ნიშნავს; და ალი, სიძე მუჰამმედისა, ხომ შიიტების მთავარი მოწამეა. ისკანჯა — ტანჯვაა, რჯა, ასე რომ სპარსული „ისკანჯან“ აქ იგივეა რაც „რჯანია“. აზრაველ ანუ ისრაფილ მუსლიმანთა მითოლოგიაში მთავარ ანგელოზია ერთი, უზარმაზარი.

*) იხ. „კავკასია“. № 3, 4.

ეს უსიამოვნება დავალება შირაზის ბატონმა შეასრულა კიდეც. მართალია, თავდაპირველად

31:

იმამ გული ხანს რა ესმა საქმენი საზარონია, მეტად გაკვირდა, ესე თქვა: „მისი რა საკადრონია? ვიცი რომ არ გათათრდების, თუკა არა აქვს დრონია, თეიმურაზის დედასა ვით ვკადრო უკადრორნია?“

მაგრამ ამგვარმა მისმა განწყობილებამ ქეთევანს ვერა უშველა-რა. შირაზის ხანის შთაგონებამაც:

35:

რჯული ეს არის, გვიჭირავს მაჰმადის დანაწესია, შენცა მოიქეც, გათათრდი, ვითამც არ უარესია, იესო ქრისტე რას გიზამს, გიწყრება შენ აწესია, სატანჯველს ნურას იკადრებ, არ არის შენიწესია

ვერ იმოქმედა. დედოფალმა სწორედ სატანჯველი იკადრა და როგორი სატანჯველი! დაწვრილებით, თითქმის გადაჭარბებული რეალიზმით აღწერილია თეიმურაზის პოემაში. ამგვარი ტანჯვა არ იყო პირადად „მისი“ თეიმურაზის „წესი“; ეს მან კარგად იცოდა. „წამება წმიდისა თეიმურაზისა“ არასოდეს მისი ოცნება არ ყოფილა, და არც დიმიტრი თავ - დადებული მისი გმირი. ქრისტიანობა უყვარდა ფრიად, მაგრამ ნადირობა - შაირობა - ომიანობასთან ერთად, და რა ითქმის მის წინააღმდეგ?

რომ თავისი დედის წამება ლექსად „აქო“, მას ესეც დიდ და განსაკუთრებული ჯილდოის ლირს საქმედ მიაჩნია. აკი ქეთევანს მის უკანასკნელ ლოცვაში ათქმევინებს: ღმერთო,

46, 3-4:

შვილსა ჩემსა თეიმურაზს გაუმარჯვე მტერსა ზედა, ლვაწლთა ჩემთა აღმწერელი ედემს ზასვი ტახტა ზედა.

წამების დროს შირაზში ბატონად მჯდომი იმამ - ყული - ხანზე, იმ კაცზე, ვისიც ჯალა-თებმა ბოლოს-და-ბოლოს გახურებული რკინებით და შანთურებით დედოფალს მუჰამ-მედის რჯულის უპირატესობა დაუმტკიცეს, თეიმურაზი იქვე შემდეგს ამბობს:

32:

შირაზის ხანის ქებასა ვერ იტყვის ბრძენთა ენანი, მდაბალი, ტკბილი, მოწყალე, აქებენ სულად ქვენანი, ლირსეულია ღვთისაგან, მითა სცავს ძალთა ზენანი..

შირაზის ხანის ამგვარი ქება, კეშმარიტად, მოულოდნელია და ცოტადაც უადგილო ამ პოემაში, და უნებლიერ ყურადღებას იქცევს. რაღაცა კავშირი უნდა ყოფილიყო მას და თეიმურაზის შორის. ამაზე სდუმს მეფე - პოეტი; სდუმს მისი ცხოვრების ბრწყინვალე აღმწერელიც, ისიც მეფე - პოეტი, არჩილ, და არც ამჟღავნებენ მას ქართული საბუთები.

ეს იმამ - ყული - ხანი ჩამომავლობით ქართველი იყო, მაჰმადიანი. ძალით, აღზრდით ანუ ანგარიშით გათათრებული ქართველებით მაშინდელი სპარსეთი სავსე იყო. ხოლო იმამ - ყული - ხანის და კიდევ უფრო მისი მამის ალლაჰერდი - ხანის კარიერა იმ დროსაც იშვიათი რამ იყო. ამ უკანასკნელს, შაჰაბაზის მთავარ სამხედრო მოღვაწეს და სარდალს, მისი მეფობის უპირველესის კაცს, მრავალ ნაირად დამსახურებულს, თავის დროზე გასამრჯელოდ შირაზის ხანობა მიეღო. მან სპარსეთის ბატონობა არაბეთისაკენ და სპარსეთის ყურეს ნაპირზე აღადგინა და



დაამკვიდრა იმ გვარად, რომ მისი სამფლობელო მთელს სპარსეთში უდიდესად ითვლებოდა. მემკვიდრე მისი და შვილი სწორედ ჩვენი იმამ - ყული - ხანი იყო.

1622 წ. ე. ი. ქეთევანის წამებაზე ორი წლით ადრე, მან წარმატებით შეასრულა შავაბაზის მეფობის ერთ - ერთი უდიდესი სამხედრო და საპოლიტიკო საქმეთაგანი: ინგლისის, უკეთ რომ ვსოდეთ, ოსტ - ინდიის ცნობილი, მაშინ ჯერ ნორჩი კომპანიის სამხედრო გემების დახმარებით სპარსელებმა იმამ - ყული - ხანის მეთაურობით პორტუგალელთა სიმაგრე დაიპყრეს კუნძულ ორმუზისა, სპარსეთის ყურეში, ბენდერ - აბასთან, და ამით გზა გაუხსნეს სპარსულ ვაჭრობას მაშინ, განსაკუთრებით, აბრეშუმით, სამხრეთისაკენ. ეს იყო ინგლისის და პორტუგალიის „საიმპერიო“ მეტოქეობის მნიშვნელოვანი ამბავი იმ ქვეყნებში და ინგლისისაგან დიდი მომავლის მომასწავებელი ნაბიჯი.

ამ საქმისათვის საჭირო წინასწარი მოლაპარაკება და სამხედრო სამზადისი უმთავრესად სწორეთ შირაზში სწარმოებდა.

ამ საქმიანობის კვალი მრავალია შენახული ინგლისურ წყაროებში, და იქითგან ერთს, ჩვენთვისაც მნიშვნელოვან ცოცხალ მოწმობას აქვე მოვიყვანთ

1628 წ. შირაზს ესტუმრენ ინგლისის ელჩები, სპარსეთის ყურედან ისპაპანის-კენ შავაბაზთან მიმავალ ელჩს, სერ დოდმორ კოტკონ-ს, ახლდა რობერტ შერლედ, იმ ინგლისელ ძმათაგანი, რომელიც შავაბაზის სადიპლომატო და სამხედრო ისტორიაში კარგად ცნობილნი არიან. კერძოდ, ეს რობერტი სპარსეთის ძველი ნაცნობი იყო. მისი რჩევით და დახმარებით, მე - 17 საუკუნის პირველ წლებში სპარსული მუდმივი ჯარის რეორგანიზაცია მოხდა, შავაბაზის პოლიტიკური წარმატების სანდო იარაღი; ამ საქმესაც იმამ - ყული - ხანის მამა, ალლაჰვერდი - ხან მეთაუ-

რობდა; მაშინ ინგლისელებმა ზარგაზნებისაც გაკეთებაც ასწავლეს სპარსელებს. ხოლო აქ ჩვენთვის უფრო საინტერესოა ამ საელჩოს უმცროსი წევრი, თომას ჰერბერტი, რომლის კალმისაგან გვაქვს მეტად შინაარსიანი და საგულიხმო აღწერილობა ამ ინგლისის საელჩოს მოგზაურობისა და მოქმედების.

შირაზს, ჰაფიზის ქალაქს, თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში 1628 წ. მიაღწიეს. აი რას ამბობს ჰერბერტი იმამ - ყული - ხანზე:

„ეს კაცი ქართველია შთამაშავლობით, ხოლო მუსულმანი სარწმუნოებით, და არის ერთი იმ თეთრარქთაგანი, რომელიც აბბასის იმპერიას განავებენ. მისი ტერიტორიებას ზომია ყოველი მიმსროლებით 400 მილაძღვა აიჭირს“.. მერე მიდის მის თანამდებობათ, ჩაძოთვლა: არქიდეკუი შირაზისა, სულიანი ქარისა, ბატონი ორმუზისა, ქირმანის, ქუს-სტამის, სეისტანის, ფარისტანის და სხ. პარსეფის ყურეს და იქაურ კუნძულთა თავადი, დიდი ბეგლარ ბეგი, მბრძანებელი თორმეტი სულთნისა, ორმოცდაათიათას, ცხენოსანის, ძობა შავაბაზისა, მუსულმანია დამცველი..... და გარდი სიამოვნებისა.

ესეც საკმარისია, რათა ვიცოდეთ თუ რომელი ხარისხის ბატონი ბრძანდებოდა ეს იმამ - ყული - ხანი. ჰერბერტი მის გენიალოგიასაც ეხება, მაგრამ ჩვენთვის ეს შირაზის „ერისთავთ - ერისთავი“ უმთავრესად იმით არის საინტერესო, რომ, ამაში აქვე დავრწმუნდებით, მას კავშირი ჰქონდა თეიმურაზის თავგადასავალთან და საქართველოს ისტორიასთან, კავშირი, რომელმაც კახთა მეფეს ათებევინა:

შირაზის ხანის ქებასა ვერ იტყვის ბრძენთა ენანი და სხვა.

ნუ თუ ამ ქების მიზეზი მარტო ის იყო, რომ იმამ - ყული - ხანმა ქეთევანს ბრძანება: ან გათათრდი, ან....

32,4

სამს თვეს არა გაუცხადა, ამისი ქონდა ჩენანი - თ?

არა, თეიმურაზს შირაზელ ძლიერ, გათათებულ ქართველ ბატონებთან (ნამდვილი ბუდე ყოფილა იქ) უფრო მჭიდრო და პირდაპირი კავშირი უნდა ჰქონდა.

ჰერბერტს აღწერილი აქვს საზეიმო ნადიმი ანუ მეჯლიში, რომლითაც იმამ - ყული - ხანმა ინგლისის ელჩს პატივი სცა. თუმცა კი, თვით სერ დოდმორის აზრით, ეს პატივი სრული არ ყოფილა. მეტად გვიან; სადილის მირთმევის შემდეგ, გამოეცხადა სამეჯლისო დარბაზში იმამ - ყული - ხან და ინგლისის მეფის სადღეგრძელოც მაშინ ინება. ისე - კი, მეჯლისი დიდებული იყო. საამისო სასახლეში ჰერბერტი იხსენიებს ოც მოოქროვებულ სვეტს, ამგვარადვე შემკულ ჭერს და საყურადღებო მხატვრობასაც:

წარმოადგენდა მაშინ სულ ახალ, ხუთი წლის ამბავს — ორმუზის დაპყრობას და აოხრებას იმამ - ყული - ხანის მიერ; ინგლისელთა საომარ ხომალდებსაც.

იმ პავილიონითვან, სადაც წარჩინებული უცხოელები მოათავსეს ე. ი. საელჩოს უმცროსი წევრები და აგრეთვე სულთნები, ორმუზის თავადები, მთავარი მოხელენი, ყიზილბაში, საპატიო სოვდაგრები, დანახვა შეიძლებოდა ერთი ეზოსი, სადაც რჩეულ მოქალაქეთათვის იყო გაშლილი სუფრა, და მეორესიც: იქ 500-მდე მდაბიო ხალხს ემასპინძლებოდენ.


მთავარ დარბაზში, სახელმწიფო მოწყობილობით, ხანლარ - ხანის გვერდში, თვით ინგლისის ელჩი დასვეს. როგორც ვსთქვით, იმამ - ყული - ხანი გვიან მობრძანდა. მას წინ უძლოდენ ოც და ათი ჭაბუკი, მდიდრულად ჩაცმულ - შეიარაღებული; მათ ხელთ ეჭირათ სანადირო ქორ - შევარდნები.

სერ დოდმორის მარცხენაზე იყო ახალგაზ-

რდა (18 წლის) შვილი იმამ - ყული - ხანისა. ბეგლარ - ბეგად ითვლებოდა. შერე იჯდა ორმუზის მეფე, საპატიო ტყვეობაში მყოფი. სუფრის თავში თვით მასპინძელი ბრძანდებოდა. თავის მარჯვენაზე შირაზის ბატონს ჰყავდა ერთი „ტარტარის პრინცი“, რომლის ვინაობაზე არ გავჩერდები და ერთი ჩვენთვის საყურადღებო პირი, სახელად: თრების ხან. - მამ - ყული - ხანის პირდაპირ, ორმუზელი მეფეს და „თრების - ხანის“ შუა რობერტ შეტლეა, ძველი, გამოცდილი „სპარსელი“ შოათავსეს.

ვინ უკა ეს თრების - ხან? საკმარისაა წავიკათხოთ, რასაც მასზე ამბობს თომას ჰერბერტი: „ნუგეშ - მოწყვეტილი საქართველოს პრინცი, გულოვანი გვამი, ლაშქრობაში გამოცდილი და მტკიცე ქრისტიანი“, რომ ვსთქვათ: — ეს თეიმურაზ პირველი უნდა იყოს. დახასიათება ხომ სავსებით უდგება იას, ხოლო სახელი თუ არაა სწორედ გადმოცემული, ეს ინგლისელისაგან მოსალოდნელია დაუნებრიცე.

აქ ეჭის ადგილი აღარ აქვს. თრების - ხანი ივანე, რაც თებრის - ხან, და ამ სახელით ისეენება თეიმურაზი იმ ფრანგი იეზუიტის მოხსენებაში, რომელიც 1615 წ. ნიადაგის ვამოსარცვევად სამეგრელოში ჩამოსულა. (ამაზე ი. ზემოთ). მისი სიტყვით, დადიანი ვაზინ სულ ნადარობაში იყო გართული, მერე რვიტომაც არ სცალოდა, რომ სტუმრად ახალი ჩამოსული თებრისხან ჰყავდაო, ქართველი დეფე (პრინცი), სპარსეთის შაჰს ერთი წლით ადრე მისი სამფლობელოთვან რომ გამოეძევებინაო და სხვა. ცხადია, ეს თეიმურაზ პირველია. 1615 წ. მართლაც, დასავლეთ საქართველოში, უფრო გიორგი, იმერელთან იყო. ლევან დადიანს თავის ბიძაშვილი თეიმურაზისათვის დიდი ნადიმი გაემართა, მას ეს იეზუიტიც ამხანაგით ეწვია; საუბარიც ჰქონდა თეიმურაზთან. ბოლოს კი, სჩანს, აქეითეს და ამღერეს ეს კათოლიკე მღვდლები. შირაზის



1627 წ. ნადიმი სხვა იქნებოდა და თეიმურაზი იქ მოწყენილი ბრძანდებოდა. 1624 წ. მომხდარის შემდეგ ბუნებრივიც იყო.

„თრების ხანის“ და იეზუიტი ლ. გრანუერის შეხვედრაზე სამეგრელოში, თვით ჰერბერტსაც აქვს ცნობა.

მაგრამ რამ მოიყვანა თეიმურაზ პირველი, განადგურებული კახეთის მეფე და წამებული დედის შვილი, იმ სპარსეთში, რომლის ხელმწიფე, მისივე სიტყვით, იყო

14, 2-3:

ქრისტიანეთა მტანჯველი, უბრალოს სისხლ-
თა მჩქეფელი,
ეროდიას წილ მჯდომელი... და სხვა ?

პოლიტიკამ იცის ამგვარი, დამალული და
აღკრძალული გზებით სიარული.

5. დავით უნდილაძე

მარაბდის ომში (ივნისი 1625 წ.) დამარცდენ თეიმურაზი, გ. სააკაძე და მათი მომხრე ქართველები. ამის შემდეგ კახთა მეფე შავაბაზს ურიგდება. როგორ მოხდა ეს?

თ. ჰერბერტს ჩატერილი აქვს მისი თანამგზავრ შერლეის ერთი ნაამბობი საქართველოს საქმეებზე. ამ მოკლე მიმოხილვაში იხსენიება დიდი მოურავის მიერ სპარსელებზე ანაზდეული და კარგად ცნობილი (ნორიო - მარტყოფში, მარტი, 1625 წ.) ხუთასი კაცით 700 ამოწყვეტაო, მათ შორის 11 ხანი და ბეგლარ - ბეგი, მაგრამ მარაბდის ომი მან არ იცოდა ან ჰერბერტს არ ჩატერა. ერთი რამ კი დაუმსტა შერლიერმა: ზოგიერთი ქართველი ყიზილბაშის ე. ი. გათათრებული ქართველის საშუალებით, აბბას დაერწმუნებინა ქართველები, მშვიდობა და ზავი მინდაო თქვენთან, ე. ი. ყევნი დაზავების მომხრე შეიქმნა.

ეს უკანასკნელი ცნობა მნიშვნელოვანია, და მას აღასტურებს სპარსელი ისტორიკოსი:

სააკაძეს და თეიმურაზს შორის ატენის ბრძოლის შემდეგ, როცა დამარცხებულმა მოურავმა საბოლოოდ ოსმალებს უბრუნა პირი) თეიმურაზმა ისევ ყევნთან დაახლოება მოინდომა და ამ საქმისათვის ერთი დაუდ - ხანის შემწეობით და შუამავლობით ისარგებლაო. ხოლო ეს დაუდ - ხან იყო შირაზელი იმამ - ყული - ხანის ძმა და ალლაჰვერდი - ხანის შვილი; ითვლებოდა ფარსის ბეგლარბეგად და იმ დროს — ალბათ 1626 წ. — თბილისში იყო.

კომპრომისის ძებნა თეიმურაზის მიერ აშკარად აიხსნება მისი შიშით — ოსმალების დახმარებით დიდმა მოურავმა ქართლი, ვინ იცის! კახეთიც არ წართვას და არ დაიჭიროს! და უსპარსეთოდ, საკუთარი ძალით, ოსმალეთისაგან ზურგ - გამაგრებულ მეტოქესთან ბრძოლას ხომ ვერ შესძლებდა!

შავაბაზისათვის, რომელიც მაშინ ბალდადის მხარეს ოსმალებს ეომებოდა, თეიმურაზის ყმობა და მეგობრობა მის მტრობაზე უფრო ხელსაყრელი იქნებოდა. და მან იცნო კიდეც კახთა მეფე ქართლის და კახეთის ბატონად, ვალის ხარისხით. მართალია, ეს ორი სამეფო თეიმურაზმა ისედაც დაიპყრო 1625 — 26 წ., და შავაბაზი მხოლოდ არსებულ მდგომარეობას აღასტურებდა, მაინც ამგვარ ფორმალურ ცნობასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

მაშასაღამე, 1626 წ., მიუხედავად ნორიო - მარტყოფის აჯანყებისა და მარაბდის ომისა, სპარსეთის მფარველობა და წყალობა ისევე ძველებურად მოინდომა და ინება თეიმურაზმა — ახალი მიზნისთვის — რათა სააკაძესთან ბრძოლაში მარტო - ხელა არ დარჩენილიყო — მან დაივიწყა კახეთის საზარელი აოხრება, 1614 — 1615 წ., და ისიც, რომ მას იქ სპარსეთში, დაახლ. 1618 წ. ორი შვილი დაუსაჭურისეს, ქეთევან დედოფალთან ერთად მძევლად რომ წაეყვანა შავაბაზს 1614

წ., ისიც, რომ მეგობარი, ახლო ნათესავი, და
მოკავშირე, ქართლის მეფე, ლუარსაბ მეორე
შვილდის საბელით მოაშთვეს შირაზთან ახ-
ლო, 1620 წ., და ბოლოს, 1624 წ. მისი დედაც

8,4

მისთანა არვინ შობილა არცა ყმა, არცა ქა-
ლია

შირაზში - ვე აწამეს აუწერელი ტანჯვით.
აუწერელი? თვით თეიმურაზმა მისი სიკვ-
დილი თავისი პოეზიის საგნად გახადა, და დი-
დი პათოსით დაწვრილებით აქვს აღწერილი.

შაჰაბაზთან ამგვარმა გვიანმა შერიგებამ
თეიმურაზისათვის სპარსეთის გზები ისევ გა-
იხსნა (იხ. ამაზე აგრეთვე ზემოთ, ბერძნული
პამფლეტის ცნობები), და სწორედ იმამ - ყუ-
ლი - ხანის ძმის, დაუთ - ხანის ამ საქმეში მო-
ნაწილეობა თომას ჰერბერტის ისედაც გარკ-
ვეულ ჩვენებას კიდევ უფრო ამაგრებს, და
თეიმურაზის სტუმრობა შირაზში 1627 წ.
ჩვენთვის სავსებით გასაგებიც ხდება.

არჩილის მიერ „ნათქვამ“ თეიმურაზის
ცხოვრებაში ეს არაა მოხსენებული. რომ თე-
იმურაზს განზრახული ჰქონდა შაჰაბაზთან მი-
სულიყო, ამას არჩილიც ამბობს. იგი გადმო-
გვცემს, რომ ზურაბ, არაგვის ერისთავი, სვი-
მონ პირველის შვილის - შვილს, მეორე „სვი-
მონს მიუვიდა, ქართლი დააჭერინა, მერმე
მოჰკლა, და თავი კახთ - ბატონს გაუგზავნა,
და ისევ მეფეს თეიმურაზს დააჭერინა ქარ-
თლი სრულიად“ (მეტად მჟევრ - მეტყველია
ეს სათაური „არჩილიან“-ში!). ამის შემდეგ
პოეტი თეიმურაზს ათქმევინებს:

496, 1:

თავი უფადარს მამწივა, ყაენთან წასვლას
მდომელსა,
მაგრამ

497, 1:

ალარ წაველ ჟეენთანა, ისევ ქართლსა მოუბ-
რუნდი - ო.

ბოლოს სპარსეთში რომ წავიდა, და ეს ეხლა
ხომ ეჭვის გარეშეა. მას შეეძლო შირაზში
ეცხოვრა იმამ - ყული - ხანთან და ყეენი სრუ-
ლებითაც არ ენახა. პირადი შეხვედრა მათ-
თვის „სისხლის წვიმების“ და საერთოდ მო-
მხდარის შემდეგ, არც ისე სასურველი და სა-
სიხარულო იქნებოდა.

რა იცოდა ამ შირაზელ „ერისთავთ - ერის-
თავმა“, რომ მას ძვირად დაუჯდებოდა თეი-
მურაზის მეგობრობა.

მკითხველს ახსოვს, რომ შაჰაბაზის და თე-
იმურაზის შერიგებას იმამ - ყული - ხანის
ძმამ, დაუთ - ხანმა შეუწყო ხელი. თავისი
ძმის სამფლობელოში მასაც ეჭირა დიდი თა-
ნამდებობა. როგორც მისი ძმისა, მისი სახე-
ლიც ჯერ ცოცხალი და განთქმული იყო სა-
მხრეთ სპარსეთში ნახევარი საუკუნის შემდე-
გაც. 1674 წ. შარდენი შირაზში დაუდ - ხა-
ნის ბაზარს იხსენიებს: დიდი 200-ოთახიანი,
ინდოელ ვაჭართათვის დანიშნული ქარვას-
ლით. სახელოვანი იმამ - ყული ხანის ძმის,
დაუდ - ხანის ბრძანებით აშენებული იყო. ისპაჰანითგან ბენდერ - აბბასისკენ წამოსულ
შარდენს გზაშ ერთი დიდი სოფელიც გაევ-
ლო, სახელად: ამნაბადი, გინა, „სანდო ბინა“
— ასე დაარქვესო იმ ციხის მსგავსი შენობის
მიზეზით, რომელიც ოდესლაც დაუთ - ხანს
აქ აუშენებია.

ეს ადგილი, დაუდ - ხანის თანამედროვეს,
ჰერბერტსაც აქვს აწერილი.

ეს იყო 1627 წ., და მაშინ იქ 30 კომლი
ცხოვრობდა, უმეტესად ქრისტიანებითგან
განდგომილი ქართველები. ეს სოფელი გალა-
ვანით ყოფილა გამაგრებული და უფრო ცი-
ხესა ჰგავდაო. იქ დაუდ - ხანი ბატონობსო.
შიგ ქარვასლაც იყო და მას პირადათ საკუ-
თარი სამეჯლისო სახლებიც ჰქონდა, „რომე-
ლშიაც მე შევსულვარ, ხუთი ოთახი ჰქონდა
ერთ სართულად, საუცხოო მხატვრობით შე-
მკული და მოოქრული. ბალები კარგი წე-
სით იყო დალაგებული, და ვირგილიუსისა

არ იყოს (2შ. გეორგ.), გაზაფხული სუკველაფერს ამშვენებდა. სხვა ყვავილთა შორის, იქ იყო მრავალფეროვანი სუმბულები და ვარდები; ასე რომ ამ სახლსა და ბაღებზე ვიტყოდი: —

ნაირნაირი სხვა და სხვა ფორმით და საყურადღებო სახეებით დაუთ - ხანის სახლი და ბაღები თვალ წინ გვევლინებიან.

(ეს ლექსალ გამოთქმულია ინგლისურად, და ამისი მსგავსი რამ ლათინურადაც. ინგლისის რენესანსის კაცია, და ყმაწვილი ჰერბერტის მოთხრობას ხშირად აჭრელებენ ზედმეტი ლათინურ - ბერძნული ციტატები).

ლათინური ლექსით, გათათრებული ქართველის ქება, შექსპირის თითქმის თანამედროვე ინგლისელის მიერ, და სად? შირაზის მიდამოებში, — ესეც არა ჩვეულებრივი რამეა!

ამ დაუდ - ხანის, რომლის ნამდვილი საბეჭი დავით უნდილაძე იყო, პორტრეტიც არსებობს, კასტელლის დახატული, იტალიური წარწერით: „დაუდ - ხან სპარსელი .. შირაზის ხანის ძმა“.

როგორც სხვა იმ-დროინდელ მოგზაურებს სპარსეთში, მაგალ. პ. დელლა ვალლეს, ფიგეროს, ჰერბერტსაც მოეპოვება ცნობები შაპაზის მიერ გადასახლებული ქართველების შესახებ, რაიც მაშინ სულ ახალი ამბავი იყო. სწორეთ შირაზის ქვეყანაში, სადაც გამაჰმადიანებული ქართველები ბატონობდენ — ვინ იცის, ამ მიზეზით ხომ არ იყო ეს — შეხვდებოდით საქართველოდან აყრილ მოსახლეობის ზოგიერთ ახალშენებს.

შირაზ - ისპაპანის გზაზე ერთი სადგური „მანძილი“ — ასპასი იყო. „ადგილი ძველი კინით აღსანიშნავი... რომელშიაც და რომლის გარემო არა ნაკლებ ორმოცი ათასისა, ასე გვითხრეს, ქართველები და ჩერქეზები ცხოვრობენ, სარწმუნოებით ქრისტიანები. ხოლო ტყვეებად ჩაითვლებიან და ძალით. გადმოსახლებულნი არიან აქეთკენ“. ეს „ჩე-

რქეზული“ უფრო დალისტნელები გამოიყენება დენ.

ნახევარი საუკუნე ჰერბერტის „შემდეგ, სხვა ინგლისელის მოგზაურობაშიც ამ ასპასის და იქაური ქართველების ხსენება გვხვდება. ჯონ ფრანერ, ოსტ - ინდიის კომპანიის სამსახურში მყოფი ექიმი (1672 — 1681) შირაზიდან ისპაპანის - კენ მიმავალი, შენიშნავს შემდეგს ამ დაბაზე: „დასახლებულია აწ ქართველი ქრისტიანებით. მიწის დამუშავებას და ვაზის შენებას მისდევენ, რომელიც ძალიან მოსავლიანია გორაკების კალთებზე; აწინდელ სპარსელებზე უფრო თეთრი ხალხია, და უფრო ცოცხალი ფერისა, წამოსადეგი და კარგად მოყვანილი ბიჭებია. მათ შორის ბევრი მაჰმადიანობაზე მოიქცა, სპარსული სექტის წესზე, ვინაიდან ხელმწიფის ყმები არიან“). შირაზის ქვეყანაში ქართველების მევენახეობა მარტივ პასუხს იძლევა ივ. ჯავახიშვილის მიერ (საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წ. 2, 1934 წ. გვ. 412 — 3) დასმულ კითხვაზე: როგორ მოხდა, რომ შირაზის ყურძნის ჯიშს ევროპიელები ქართული სახელით იცნობენ („შირაზული“)? ალბათ შირაზელ ქართველებისაგან ჰქონდათ გაგონილი.

მაგრამ დავუბრუნდეთ დაუდ - ხანს.

1625 წ. დიდი აჯანყების დროს იგი არ იქცეოდა ისე, როგორც შეეფერებოდა შაპაზის ერთგულ ყმას და თითქმის გ. სააკაძეს ეხმარებოდა, მაგრამ 1625/6 წ. მისი შუამდგომლობით კახთ მეფე ურიგდება სპარსეთს. მე-

*) ამ ქართველების სულისკვეთება იხატება ერთ გადმოცემაში, რომელიც ს. ორბელიანის ლექსიკონშიაც შეტანილია. შირაზში ერთი ფრინველი ცხოვრობსო, მსგავსი გვრიტისა, როცა კაცს ნახავს, „იწყებს ძახილს ქართულის ენით: „, ნუ ვათათრდები და ამ მიზეზით თათარნი უწოდებენ გაურყუში, ვითომც უსჯულო ფრინველი“.

რე თემურაზი ხომ შირაზშიაც ვნახეთ დაუთ - ხანის ძმასთან. ეს ბაზალეთის ომის შემდეგ იყო, და მაშინ დიდმა მოურავმა საბოლოოდ ამოირჩია ოსმალეთის გზა, თეიმურაზმა კი სპარსეთისა, ეს „საბოლოოდ“ საკაძისათვის ადვილი იყო, მალე (1629 წ.) დაიღუპა, თეიმურაზისათვის - კი უფრო ძნელი. იმავე 1629 წ. დამდეგს შაჰიბაზიც მიიცვალა. მისმა შვილის შვილმა და მემკვიდრე შაჰსეფიმ ტახტი დაიპყრო ისპაჰანის ხოსროვ - მირზას — მერმინდელი როსტომ მეფის — დახმარებით. ამით თეიმურაზს ძლიერი მეტოქე აღმოუჩნდა, ქართლის მეფეთა ჩამომავალი, ქართველთა თვალში კანონიერი მემკვიდრე და სპარსეთში ერთი პირველთაგანი.

ამ ხანში შესულ და სპარსეთით ცოტა დაღლილ კაცს თვით თეიმურაზმა მისცა საუკეთესო შემთხვევა და საბაბი, რათა ჩაეგდო ხელში ქართლი (მერე, კახეთიც) და გამხდარიყო როსტომ მეფე.

თეიმურაზმა იფიქრა, შაჰიბაზის დრო წასულია, იწყება ახალი ხანა და ოსმალეთთან განახლებული ომი სპარსეთისათვის აწ საზარალო შეიქნება. მან ილაშქრა და მოაოხრა განჯა - ყარაბაღის მხარე „არეზს აქეთი“, და ამ ლაშქრობა - დარბევაში ლევან დადიანმაც თავისი ჯარით, იმერლებმა და მესხებმაც მიიღეს მონაწილეობა. ეს განახლებულ „ოსმალურ“ მიმართულებას აჩვენებს. არის აგრეთვე ამგვარ გამოლაშქრებაში უფრო ძველ დროთა გამოძახილიც.

ამ „არეზს აქეთის მორბევა“-ში, თეიმურაზის მეთაურობით, დაუთ - ხანიც მასთან იყო.

ამის თაობაზე არჩილი თეიმურაზს ათქმევინებს, სხვათა შორის, რომ

523, 1-2:
დაუთხან იჯდა განჯასა, უნდილაძე, ბეგლარ
ბეგად, წამოვიდა, თვით ჩემთანვე იყო მდე-
გად.

ამნაირად ირკვევა, რომ მისი გვარი უნდილაძე იყო.

თავის მხრივ, ფარსაღან გორგიჯანიძე, იხსენიებს რა დაუდ - ხანის ამ ორგულობას და სპარსეთისადმი ღალატს, გარკვეულად ამბობს, რომ ეს დაუდ - ხანი შირაზის ბატონის იმან - ყული ხანის ძმა იყო დაუთ - ხან უნდილაძის და შირაზელი იმამ - ყული - ხანის ძმის იგივეობა ეჭვს გარეშეა.

ამ დაუთ - ხანს ებარენ ყაჯარის ელები და მან ივრის ნაპირზე მოიყვანა ისინი.

(არჩ. 523,4):

მერმე კახნი თავს დაასხა მოსასრველად,
გარდაგებად..

არსებითად ამ მოქმედებით სამაგიერო გადაუხადეს იმათ, ვინც მონაწილე იყო საქართველოს, კერძოდ კახეთის უმაგალითო აკლებისა და იმ „სისხლის წვიმებისა“, რომელნიც მე - 19 საუკუნეშიაც ახსოვდათ.

„არჩილიან“-ში ეს ლაშქრობა, რასაკვირველია, თეიმურაზის ერთ-ერთ პირად „საქმედ საგმიროდ“ არის წარმოდგენილი

522,1-2:

აწ და ჩაველ არეზს აქეთ, მოვაოხრე, მოვარბივე,
ორ-გული და ურჩი ჩემი, ვინც გამოჩნდა, და-
ვარბივე....

მისი ნამდვილი ვითარება გორგიჯანიძის ისტორიაშია ახსნილი. იგი იხსენიებს ლევანდადიანის, ალექსანდრე იმერელის, მესხ - ქართლელ - კახელთ ამ საქმეში მონაწილეობას და ხაზს უსვამს თომხის განძასარის კათალიკოზის თათბირს თეიმურაზთან. მან ურჩია: „შვიდის საქართველოს ლაშქარნი თან გასლავს, ორმოცს ათას მეთოფეს მე მოვასრამ (!), ამავე უეხსზედ თავრიზს მიბძანდონ და შვიდს დღეს თავრიზი დაარბევინეთო, და შვიდის წლის ჯარაგირში ლაშქარი უანვარა-

შეორულად საღმლისინ ყაენ „ლაშქარს შეცრა-
ც უსო, ადრჩა; აბრს ბატონი გამოსცვალუ-
თო, უკელვან თქვენი ყმანი დასხითო და პე-
ხონოქაროან ვამჯზავნეთო, რმისგან ლაშქარს
მოგაშველებო“

ამ მნიშვნელოვან და მომხიბლავ გეგმაზე
თეიმურაზმა უარი სთქვა; ალბათ იმიტომ,
რომ იცოდა, რას მოასწავებდა მაშინდელ პი-
რობებში თავის შემოსევა. სომეხთ
მღვდელ - მთავარი სამართლიანად და მწარე
ოხუნჯობით ეუბნებოდა: „ძროხა ცხვრისათ-
ვის დადიანი და იმერელი მეფე არ წამოგეხ-
ხაო, ქართლსა და კახეთშიაც იშოვიდიო და
ერანის ხემწიფე აგდენს როდის გაცლისო,
რომ შენ მეორედ კიდევ ამრიგი ლაშქარი შე-
იყარო“-ო.

არ დაუჯერა თეიმურაზმა, ამოირჩია უკე-
თესი ნაწილი, განჯიდან აიყარა, დაუთ - ხა-
ნი და სომხის კათალიკოზი გორს წამოიყვანა.
„დადიანი და მეფე ალექსანდრე და მესხთ თა-
ვადნი ალხინა და ... ანადირა და კარგად შე-
აქცია და უკელას მრავალი საჩუქარი მიართვა
და გაისტუმრა“.

სომეხი კათალიკოზი ერთში მართალი იყო.
გამოიარა მთელმა საუკუნემ, სანამ ქართველ-
თა მეფემ, იმავე აღგილებში, დიდი ქართულ-
სომხური ჯარი შეჰყარა: ეს იყო პეტრე პირ-
ველის ლაშქრობის დროს სპარსეთში. და ვან-
ტანგ მეფემაც ამითი ვერა მოახერხა - რა.

6. ეპილოგი.

თეიმურაზს და დაუთ - ხანს ძვირად დაუჯ-
დათ „არეზის აქეთის“ ამგვარი დარბევა. სა-
ბაბად „შეიქმნა მეფე როსტომისათვის ქართ-
ლის“ მიცემისა. დიდი ამალით, ძალებით, ფუ-
ლით და მტკიცე განზრახვით ჩამოვიდა სპარ-
სეთითგან და განახორციელა ის, რაც ვერ შე-
სძლეს მისმა მამამ დაუთ - ხანმა, სვიმონ პირ-
ველის ძმამ, ვერც კონსტანტინე კახელმა, კუ-

სტენდილ - ხანმა, თეიმურაზის ძიძამ, სახელული
დობრ სპარსულ - ქართული შეთანხმება ანუ
კომპრომისი. მან უფრო თავის ძიძის, სვიმონ
პირველის საქმე გააგრძელა.

დაუთ - ხან უნდილაძე იძულებული გახდა
საოსმალოში გადასულიყო. მისი ღალატის შე-
დეგი ისიც იყო, რომ მისი და მისი ძმის, იმამ-
ული - ხანის ოჯახი და დიდება ძირიანად
მოისპო. „შავ სეფი ყაენმან იმან - ყული ხან
შვილებიანათ დახოცა და დაუდ ხანის შვი-
ლები დაახოჯაა. ... ძველითგან ნათქვამია,
თავისის ბატონის ორგულს კარგი არ დაემა-
რთების“-ო — ესაა საბოლოო დასკვნა ფარ-
სადანისა ერთ-ერთი ბედის ტრიალზე, რომე-
ლმაც დიდათ შეზარა თანამედროვენი.

იმ ხანებში ოსტ - ინდიის კომპანია დაინტე-
რესებული იყო იმით, რომ როგორც 1622 წ.
სპარსელთა დახმარებით პორტუგალელთა სი-
მაგრე ორმუზი დაანგრიეს, ისე მუსკატიდანაც,
წყლის-გალმა არაბეთის ნაპირზე, იქვე სპარსე-
თის ყურეში, გაერეკათ ეს მეტოქენი. ხოლო
სპარსეთის მხრივ ამგვარ საქმეებს ხომ შირა-
ზის ბატონი ხელმძღვანელობდა ხოლმე.

27 იანვარს, 1633 წ. კომპანიის რწმუნებუ-
ლები ატყობინებენ გამგეობას, რომ ხმები გა-
ვიგეთო, შავის პირადი ბრძანებით შირაზის
ჰერცოგის ძალები ქართველების წინააღმდეგ
გაგზავნილია; მათ თურმე სპარსეთის მხარე-
ები დაურბევიათ, მისი ჯარი დაუმარცხებიათ,
და შირაზის ბატონის ძმაც ტყვედ წაუყვანია-
თო. (ვისგანაც გაეგოთ დაუთხანის ბეგლარ -
ბეგობა, იმათ იცოდენ და ალბათ თავდაპირვე-
ლად იფიქრეს. ტყვედ ჩაუვარდა ქართველებს
და მისი ღალატი ჯერ აზრადაც არ მოსვლი-
ათ).

15 მარტის 1633 წ. წერილში პრეზიდენტის
და გამგეობის მიმართ, სურატში (ინდოეთს),
ნათქვამია: „მუსკატის შესახები გეგმა ჩაიშა-
ლა, ვინაიდან მისი მთავარი აღმასრულებელი,
კომპანიის ძველი მეგობარი, შირაზის დაუკი
და: მისი სამი შვილი, აქაური მეფის განკარ-

გულებით აღესრულნენ საზარელად ყაზვინ-ში. ამასთანავე ყველა ძალები საქართველოს ომებისკენ მიმართულია, რომელმაც ბოლოს დროს მეფის (შავის) მიერ გამოწვეული რომელილაც უკმაყოფილების გამო, დიდი აჯანყებები მოახდინა ამ სამეფოში” ე. ი. სპარსეთ-ში.

24 მარტს კიდევ უფრო სრულ ცნობებს აწოდებს ერთი კაპიტანი გომბრუნ - იდან (ზღვის ნაპირზე): შირაზის ხანს და მის სამს შვილს თავი გადააგდებინეს და მისი სამფლობელოც სხვებს დაურიგესო. ზოგი მისი შვილთაგანი არაბეთში გადაიხვეწენ, ხოლო მისი ძმა, ქართველებს რომ მიემხრო, — ამ ტრალების მიზეზი ეს ყოფილა — აწ ამ ხალხთან ერთად აჯანყებულია ხელმწიფის წინააღმდეგო. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ოსმალეთი ლამობს ბალდადისა - კენ მოძრაობასო, და შავს 10.000 ჯარი ჰყავს, მეტი არაო. ყველანი ისე ზარდაცემულნი არიან, ყველას ისე ეშინიათ ამ ხელმწიფის მრისხანებისა, რომ მისვლასაც და ჯარების მიყვანას ვერ ბედავენ თავადებიო. ვაჭრები კი სულ შეშინებულნი არიან. ვერაგული მოკლვა ხანლარ - ხანისა ახსნილია ამ წერილში იმით, რომ თუმცა მან სცადა, მაინც ვერ მოუხერხა მისი ძმის ე. ი. დავითის დაბრუნება და ხელახლად დამორჩილება, და განრისხებულმა შავსეფიმ ამისათვის მოაკვლევინაო.

რა იყო მიზეზი დაუთ ხანის ლალატისა, ამასაც ეხება ინგლისელი, ამ მოხსენების დამწერი. ერთხელ ნადიმის დროს რაღაცა მეტად თავისუფალი ეთქვაო და ყენის ბრძანებით მყისვე გამოუყვანიათ და ჯოხით უცემიათო. გულმოსული ანდა შეშინებული, დაუთ ხანი ქართველებთან გაიქცაო.

ეს ცნობა არსებითად ეთანხმება ფარსადან გორგიჯანიძის ნათქვამსაც:

„ყაენს როსტომ მეფის გულისათვის მეჯლიშიდან გაეგდებინა და ეს ჯავრი დაუდხანს

ვერ მოეთმინა. ამისთვის დაუწყო თეიმურაზ მეფეს მოციქულობა“ და სხვა.

როდინდელია ეს უკანასკნელი ამბავი, ნათლად არ სჩანს. ყოველ შემთხვევაში, 1626 წ. დაუთ ხანი საქართველოში სპარსეთის დარაჯია. ერთს ინგლისურს წერილში ოსტ - ინდიის საზოგადოების მიმართ, 19 მაისის 1626 წ. თარიღით (ისპაპანით) მოხსენებულია: შავი და შირაზის ხანი, დიდი ჯარით ეხმარებიან ბალდადს, რომელიც ოსმალთა მიერ უკვე 8 თვეა, რაც გარემოცულია. იერიშებით ვერა გააკეთეს რა. „ქართველები თითქმის წყნარად არიან, ვინაიდან შირაზის ხანის ძმა მათ აჩერებს“-ო. ოსმალების მოკავშირე ქურთები თავრიზის მიღამოებს აწუხებენო, რათა სპარსეთის ძალების ერთი ნაწილი ბალდადიდან მოაშორონ და სხვა. ცხადია, ამ როულ სამხედრო მდგომარეობაში რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართველების თავის ფარგლებში გაჩერებას, და ამ ამოცანას მაშინ დაუთ - ხანი ასრულებდა.

როცა ინგლისის ელჩი შირაზში ეწვია 1627 წ. იმამ - ყული - ხანს, მისი პოლიტიკური ჩელი უაღრესი იყო. და არაფერი მის დანგრევას არ მოასწავებდა. დაუთ - ხანს რომ შეურაცხყოფა მიაყენეს, ეს შავსეფის გამეფებუს შეძღვომად (1629 წ.) უნდა მომხდარიყო. და ვინაიდან უს ხოსტო - მირზა - როსტომის უახეზით იყო, საჭიროებელია, რომ ამ უკანასკნელს, იცია რა რა თეიმურაზია და შირაზია: ძმათა მეგობრობა, მათ წინააღმდეგ აღრე დაეწყო ბრძოლა. ამას მოჰყვა დაუდ-ხანის ლალატი, განჯა - ყარაბალის დარბევა, და შირაზელთა ამოწყვეტა. როსტომს ამ ლალატმა ქართლის მიღება გაუადვილა, თუმცა ისედაც უფრო მას ერგებოდა — არ იყო განა ქართლის მეფეთა ჩამომავალი? იქაური დიდებულები, ვინც იცოდენ მისი ძალა და გავლენა შავსეფის წინაშე და ვინც თვითონ სპარსული მიმართულების ყოფილან, რასაკვირველია, როსტომს მიემხრენ.

შაჰსეფიმ დაუთხანის ღალატში საბაბი იპოვა არა მარტო ქართლის სანდო ხელში მოსათავსებლად, არამედ შირაზელი ხანლარ - ხანის, უზარმაზარი საბატონოს მოსასპობლად და ჩვეულებრივ სახანოებად გასაყოფად.

ამ ინგლისური საბუთებით იმამ - ყული - ხანის ამოწყვეტა უნდა მომხდარიყო 1633 წ. თებერვალში ანდა მარტში, განჯა - ყარაბახის დარბევა ქართველების მიერ და დაუთხანის თეიმურაზთან ერთად მოქმედება — 1632 წ. ალბათ მაშინვე, 1632 წ. როსტომ მეფემაც ქართლი მიიღო.

სამხრეთ სპარსეთში მოქმედ ინგლისელი-სათვის დიდათ მნიშვნელოვანი იყო შირაზის „ჰერცოგის“ ესოდენ მოულოდნელი მოსპობა. მაგრამ ამ საქმის ქართული ეპილოგიც მათთვის არ ყოფილა ინტერესს მოკლებული. 28/30 სეკტემბრის თარიღით, 1633 წ., ისპანითვან ასტრი - ინდიის კომპანიის წარმომადგენელი ატყობინებს მას, რომ „თითქმის სრუ-

ლი საქართველო (იგულისხმება ქართლ - კახეთი) აწ აქაურ ხელმწიფეს ემორჩილებას უღალატეს, ასე გვატყობინებენ, თვით საკუთარმა დიდებულებმა, ასე რომ მეფე თეიმურაზ - ხან (ტამორის კანი), თავისი ცოლით და შვილებით, იძულებული შეიქმნა გაქცეულიყო ერთ მეზობელ პრინცთან, თავის სიძესთან. ეს ადგილი, ამბობენ, მიუღწეველია, და იქ იმყოფება უკეთესს დრომდეო.

მართლაც, მეფე როსტომ, ერანის ლაშქრით, რომელსაც სარდლობდა თავრიზის ბეგლარ - ბეგი როსტომ - ხან სააკაძე, და ქართლის თავადებით თბილისს უახლოვდებოდა, და ულაშქროდ დარჩენილ თეიმურაზს ომი არ შეეძლო, მეშვეობი არავინ ჰყავდა, და გადავიდა ალექსანდრე მეფესთან, იმერეთში. უკეთეს დროსაც მოესწრო, და ერთხელ კიდევ კახეთშიაც იმეფა.

ზ. ავალიშვილი

ს ა ქ ა რ თ ვ ა ლ ი შ ი ტ ი

ძველი თვითონის კუთხე

თბილისის სოციალისტური რეკონსტრუქციის გეგმა, რომელიც ამჟამად ხორციელდება მკვეთრად, პირდაპირ ჩვენს თვალწინ სცვლის ძველი ქალაქის სახეს. გაივლის კიდევ რამდენიმე წელი და კვალიც კი არ დარჩება საუკუნობით შენახული მისი მიხვეულ - მოხვეული პატარა ქუჩებისა, ვიწრო შესახვევებისა, პაწია ჩიხებისა, მინიატურული მოედნებისა, ძველთა-ძველი სახლებისა, რომლებსაც ყოველ მხრივ აკრავს მოხარატებული აივნები.

ასტუალტით შემოსილი, გამწვანებული პროსპექტები, ფართო მოედნები, თანამედროვე ტიპის შესანიშნავი სანაპირო, მრავალ სართუ

ლიანი სახლები, - ასეთია ახალი თბილისი - საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რეაცუბლიკის დედა ქალაქი.

ძველი, მიმავალი თბილისის კუთხე იმ სახით რომ იქნას შენარჩუნებული, როგორც იყო ამ 100—200 და მეტი წლის წინათ, თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა გადასწყვიტა 2 ჰეკტარის ფართობზე შექმნას კომუნალური ნაკრძალი. უკვე დაიწყო მუშაობა ნაკრძალის გამოსაწყობად. ნაკრძალისათვის შერჩეული ნაკვეთი, რომელშიაც შედის რამდენიმე უბანი, იმ ყოფება ძველი ქალაქის იმ ნაწილში, რომელ საც ეწოდება ფეთხინი — სოლოლაკის მთის კალთაზე; აქ არის ძველი ციხე-სიმაგრის „ყალას“. ნანგრევები; ეს ციხე-სიმაგრე აგებული

იყო ჯერ კიდევ 368 წელს სპარსეთის მხედარ მთავარ უბარაბის მიერ. ფეთხაინი როგორც ქალაქის რაიონი წარმოიშვა ჯერ კიდევ მე-5-თე საუკუნეში. აქ დღემდე დაცულია შორეულ დროს აგებული აგურის შენობა „ათე შგა“ (ცეცხლ თაყვანის მცემელთა ტაძარი). კარგა ხნის შემდეგ ათაშგაში შეიქნა ებრაელთა დაბა, რომლების შთამომავლობა აქ ამჟამადაც ცხოვრობს.

ამ რაიონში მე-15 საუკუნეში ააშენეს ეკლესია. ეკლესიამ ჩვენს დრომდე მოახწია. იქ აღის ქვის ორიგინალური კიბე 136 საფეხურით; კიბე გააკეთეს ხელოსანთა ძველი ამჟრების წევრებმა.

ფეთხაინის რაიონში დაცულია საშუალო საუკუნეების მატერიალურ კულტურის ძეგლები. აქ ბანიანი სახლებია ვიტრუსული აივნებით და მიწის იატაკით. სახლები მორთულია ჩუქურთმებით, ფერადი მინებით და სხ. ნაკრძალის ფარგლებში მოიპოვება ტიპიური ძველი ნაგებობანი — ღარბაზი — უფანჯრო სახლები, საღაც სინათლე სახურავიდან ჩადის. აქვე არის რამდენიმე სახლი თიხის წყალსადენი მილებით.

ნაკრძალში ნაგებობანი იქნება დაცული და რესტავრირებული. 1938 წელს მოაწყობენ ორ ძველ სახლს: ერთს ტიპიურს შეძლებული მოქალაქისას, მეორეს — ღარბიბისას. ფეთხაინის ნაკრძალი თანდათანობით გადაიქცევა იქვე ახლოს, კომქავშირის ხეივანზე მყოფი კომუნალური მუზეუმის ერთგვარ ფილიალად. ქუჩებისა და სახლების მორთულობა იმ ეპოქის შესაბამისი იქნება.

აღდგენილი იქნება ქალაქის ძველი პრიმიტიული განათება, ყველგან ბუნებრივ პირობებში განლაგებული იქნება მანეკენი — ფიგურები მოქალაქეებისა, ქალაქის მცველებისა, კინტოებისა და სხვ.

„კომუნისტი“

ილია ჭავჭავაძის განუოფლებაში მცენობრაობის მუზეუმში

საქართველოს მწერალთა მუზეუმში ილია ჭავჭავაძეს მიძღვნილი აქვს ცალკე განყოფილება, რომელიც ი. ჭავჭავაძეს ავტოგრაფებს, იკონოგრაფიას და საერთოდ მის მემუარულ მასალებს შეიცავს.

ამ შასალათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ილია ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწარმოებთა ავტოგრაფები, ილიას სტუდენტობის დროინდელ ლექსების რეეული (1858 წ.), „დედა და შვილი“, „პარიზის კომუნა“ და ილიას კერძო წერილების კოლექცია.

წერილები მიმართულია დედისადმი, ახლო ნათესავებისადმი, მწერლების და საზოგადო მოღვაწეების მიმართ (პეტრე უმიკაშვილი, დავით ერისთავი, პროფ. ილია ოქრომჭედლიშვილი და სხვ.), აგრეთვე საკუთარ მეურნეობის შესახებ ყვარელის და საგურამოს მამულის მოურავებისადმი.

წერილებს სათანადო კომენტარიებით გამოსაცემად ამზადებს მუზეუმის დირექტორი გიორგი ლეონიძე.

ვიტრინაში გამოფენილია სხვათა შორის ილია ჭავჭავაძის მიერ სახელმწიფო საბჭოში წარმოთქმული სიტყვის (სიკვდილით დასჯის წინაამლდევ) შავი, დაწერილი ქართულად და რუსულად, მისი მოთხოვნის „უცნაური ამბავი“ - დან ცენზორის მიერ ამოღებული ადგილი და მერე თვით ილიას საკუთარი ხელით აღდგენილი, ილიას საოჯახო აღბომი, „განდეგილის“ 1895 წ. ინგლისური გამოცემა, გაზეთების „ივერია“, „დროების“ კლიშეები და სხვ. დიდ ყურადღებას იქცევს აგრეთვე ილიას იკონოგრაფია. აქ წარმოდგენილია მრავალი დღემდის უცნობი და გამოუქვეყნებელი ილიას სურათები, ჯგუფური და პორტრეტული; ილია სტუდენტი, ილია დუშეთს მაზრის მომრიგებელ შუამავალი, ილია ნათესავები.



პეტერბურგელ სტუდენტებს შორის, სტუმ-
რებს შორის, სომეხ მწერლებთან და საზოგა-
დო მოღვაწეებთან, ილიას დიდი პორტრეტი
ილიასავე ლექს - ავტოგრაფით მიძღვნილი ეკ.
სარაჯიშვილისადმი, ილია საგურამოში (ნახ.
ცნობილი მხატვრის გიგო გაბაშვილისა) ახ-
ალგაზრდა ილია ყვარელში (მხატ. ბაჟბეუქ
მელიქოვისა), ილიას გამზღელი მამიდა მაკ-
რინე (აღვილობრივი მინიატურა 1840-იან
წლებისა), ილია რუს და უკრაინელ პოლიტი-
კურ მოღვაწეებთან, ილია ბანკის მოსამსახუ-
რეებთან, ილიას მკვლელობის აღვილი, ილია
კუბოში, სამგლოვიარო პროცესია, ილიას და
კრძალვა მთაწმინდაზე და მრავალი სხვა.

აქვეა წარმოდგენილი ილიას მეგობარ თა-
ნამებრძოლთა პორტრეტები, ილიას მთარგ-
მნელების (ინგლისურად და გერმანულად)
ვარდროპების, არტურ ლეისტის და სხვ.
პორტრეტები. ცალკე კუთხეში წარმოდგენი-
ლია ივანე მაჩაბლის სურათები. შენახულია
მემორიალური ნივთები: ილიას ქუდი, ქოლ-
გა და ხელის ჯოხი.

მწერალთა მუზეუმი იუბილესათვის გამო-

საცემად ამზადებს ილიას სურათების დიდ
ალბომს და აგრეთვე ვრცელ კრებულს, სა-
დაც გამოქვეყნებული იქნება ილიას ნაწარ-
მოებთა ტექსტები და მისი ცხოვრება—მოღ-
ვაწეობის აღმნიშვნელი დოკუმენტები.

უნდა აღინიშნოს, რომ მუზეუმს თავის ხე-
ლო არსებული მასალის მხოლოდ ნაწილი
აქვს გამოფენილი. ილიას კაბინეტის ნივთე-
ბი, დოკუმენტები, ხელთნაწერები, სურათები
და სხვ. ჯერ კიდევ გაუხსნელი ინახება.

მუზეიმში ბინის სივიწროვის მიუხედავად,
განზრახულა ილიას განყოფილების გაფარ-
თოვება.

ტფილისის საბჭოს გადაწყვეტილი აქვს
გაათავისუფლოს ილიას ყოფილი სახლი ორ-
ჯონიკიძის ქუჩაზე (ყოფილი ანდრეევის ქ.),
საღაც მთლიანად აღდგენილი იქნება ილიას
ყოფილი სამუშაო კაბინეტი, ხოლო საგურა-
მოში ილიას სახლში ორი ოთახი დაეთმოს
მუზეუმს — მწერალთა მუზეუმის ფილი-
ალს.

„კომუნისტი“